

619
1966



საქართველოს
სამეცნიერო
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული

№ 11 ნოემბერი 1966 წ.





„საქართველოს მშრომელები განსაკუთრებით მოხარული არიან, ლენინი ილიასძე, რომ სწორედ თქვენ ჩამოსვედით, რათა საბჭოთა საქართველოს გადასცეთ სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი, და აქ, ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენთან ერთად იზიარებთ ამ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ზეიმს.

თქვენი ჩამოსვლა იმიტომაც გვახარებს, რომ თვითონ ნახეთ და ნახავთ იმას, რაშიც, უნდა ითქვას, არასოდეს არ გეპარებოდათ ეჭვი, რაშიც თქვენ მუდამ მტკიცედ იყავით დარწმუნებული — იმას, რომ ქართველი ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის მთელი მშრომელები მჭიდროდ არიან შეკავშირებული კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომ საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ისინი შთაგონებით შრომობენ კომუნისტების გამარჯვებისათვის და მზად არიან მთლიანად შეასრულონ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი“.

ამხანაგ ვ. პ. მუჟაჟანაძის სიტყვიდან.

ლ. ი. ბრეჟნევი საქართველოს სსრ დროშას აბნავს მიორა ლენინის ორდენს

ფოტო დ. იაკობაშვილის

ზეიმობს საბჭოთა საქართველო

10.074
 ... თბილისის სპორტის სახალხე, 1 ნომბერი. აქ საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე შეიკრიბნენ რესპუბლიკის ყველა კუთხის წარმომადგენლები. წითელი ქსოვილითა და ყვავილებით მორთული დარბაზი ხალხით არის გაჭედილი, წითლად ეღვარება საბრძოლო საოქტომბრო მოწოდება: „დიდება ლენინურ პარტიას!“ სცენაზე მოჩანს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიასძე ლენინის სკულპტურული პორტრეტი. საქართველოს სსრ სახელმწიფო აღმაშენებლის ოქროსფრად ეღვარება ორი ლენინის ორდენი. ამ მაღალი ჯილდოებით დაგვირგვინდა ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომა.

საზეიმო კრების მონაწილენი მჭუსხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ლ. ი. ბრეჟნევს, როცა იგი პრეზიდიუმში შემოვიდა. პრეზიდიუმში აღვიდნენ იკავებენ ამხანაგები ვ. პ. მუჟაჟანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი, პ. ა. არდიონოვი, დ. გ. ხტურუა, ა. ტ. ხტურენკო, რ. ი. ფრუძე, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე, შ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ი. ჩერქეზია, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის გმირები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მუჟაჟანაძემ.

დარბაზში უდერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნების დიდებული მელოდიები.

საზეიმო კრებამ დიდი აღფრთოვანებით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობა.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლენინი ილიასძე ბრეჟნევმა, რომელსაც დამსწრენი მჭუსხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

დარბაზში შემოაქვთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოს სსრ დროშაზე მიაბნია ლენინის ორდენი.

კვლავ ქუხს აღფრთოვანებული ოვაცია, მთელი დარბაზი ფეხზე დგას და მაღალი ჯილდოსათვის გამოთქვამს დიდ მადლობას პარტიისა და მთავრობისადმი.

ტრიბუნაზე ადის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მუჟაჟანაძე. შემდეგ სიტყვებით გამოდიან სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ა. ბოგვერაძე, მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ა. წითლიძე, აკად. ე. კ. ხარაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი ი. ბ. აბაშიძე, სტუდენტი თინა კაკუშაძე.

ხანგრძლივი ტაშის გრილში კრების მონაწილეებმა მიიღეს მისახალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით შეასრულეს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

საქ. სსრ კ. პარტიის
 სსს, სახ. რესპუბ.
 ზიგლიოთაძე

უკთი წაიჯი წახუჯ

თბილისის პირველი ცაიამზენი.



ფოტო მ. შარაძისი


ჩვენი პირველი ცაიამზენი

ჩვენს უძველეს და მუდამ ახალგაზრდა დედაქალაქში, თბილისში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ახალი, კიდევ უფრო თვალწარბაქცი ყოფის სიმბოლო აღიზარო ვეგებრელო ცაიამზენი. საქართველოსთვის უძველესი ჩრდილი ასეთი რამ, იგი თვითონ არის ცაიამზენების ქვეყანა — საილიც ვახვებ, ბუმბურაბი მწვერულები დღან, უსახლრო ლეყარები რამ შეუდგამი მზარბზე. მაგრამ ასეთი მწვერულები ჩვენ თბილისშიც ვეგებოდა ვეგებოდა. და აი, ამჟღად აიხილა მტკვრისპირა კლდეზე ოდღირისათვლილი ბუმბურაბი, შირქული კლდეების ფერი, აღმართი და ისენიანად ვადამკრებებს თბილისს, იფიჭებ, იქნებ არწივებს შეეშალით, შართლი თვითნითი საბუდარი ვეონით და დღილები ზედ ჩამოსდნენი.

ისიც სავლესობოა, რამ თბილისს ეს პირველი ცაიამზენი სასტუმროა. ვინ არ იყის, რამ ჩვენი ხალხი იღიფიფე ვანძეულა თვისი სტუმართომეფარობით. ეს სახლი სტუმრებისთვის ავიო და მის თავისი სავფარელი სამშობლის ძველი სახელო „იფერია“ უწოდა.

რაც დრო ვადის, შიი უფრო მეტი მოეფარე და მოეფარე უძრებმა ჩვენს პირაქირ, ვეზღვიდომ ვეყენას შიი უფრო მეტი სტუმარი მიდის ჩვენს სახელად. ქველიდანვე მოფარეს დაბარბეული ქართული ცაიი სულს არ იფერებდა სამშვიდობოდ მისილოფიის, კვლავ ვეგებრებებთან ჩვენს ლა-

საქუნეგლა



მაზ მზარბზე უფრო მეტნი, უფრო შიდალი ყოილონ მსარბრები, მოეფარე და ჩვენთან ვიოოდ იფეინებენ ჩვენს ლენის და ჩვენს ვამარჩევებებს.


აქ დამეუო საქართველოს იდეტროფიკაია.

ორმოციდაცხუი წელმა ვახლო დღი იტკობირის სოციალისტური რეველუციის შემდეგ, ნახევარი საუკუნეწლს უწიი ნახეული დარჩა. შიიდა ახლა ვადეგებდით ნახევარი სუტენის იტი, ვავიხსენით რიგობრი იუო საქართველო მე-20

ქართული ქიზიის ვეფანტები.



სააქრობაიქენი.



ეკთი წაიჯი, წახვავ სავუნაღა

ახლა ერთ ამბავს მოგახსენებთ, რომელიც უკომენტაროდ ნათლად მეტყველებს. წელს ზაფხულში ჩვენ კახეთში ვიყავით; ყურანლისათვის ნარკვევს ვამზადებდით, ალაზნის სანაპიროებზე მწყემსებმა ასეთი რამ გვიამბეს: ქართველი მწყემსები კამეჩებს აძოვებდნენ ალაზნის ნაპირებზე. სხვა ადგილებზე გადარეკვისას საქონლის ერთი ნაწილი დაიკარგა, კვალს ვერსად მიაგნეს. თურმე ალაზანი გაეცურათ და აზერბაიჯანში გადასულიყვნენ, იქ აზერბაიჯანელ მწყემსებს დაეჭირათ, მიმხვდარიყვნენ ვისი იყო პირუტყვი და სანამ მათ პატრონებს შეატყობინებდნენ ამ ამბავს, თვალის ჩინივით მოუარეს.

მწყემსი, მესაქონლე ახლა ჩვენში ისეთივე საბატო პიროვნებაა, როგორც მეფოლადე, მეშახტე, სწავლული ან მხატვარი. მასზე ზრუნავს ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ხალხი. საზამთრო თუ საზაფხულო საძოვრებზე, გადასარეკ გზებსა თუ ტრასებზე მისთვის მოწყობილია ბინა-სადგომები, ფარეხები, სასადილოები, სამედიცინო-ვეტერინარული პუნქტები, კლუბები, მოძრავი კინო და ბიბლიოთეკები.

მდიდარი კვეყანა

„...ვიჩივით და ვტირით ჩვენს სიღარიბეს, ჩვენს უილაჯობას. ეს ჩივილი და ტირილი მით უფრო საოცარია, რომ ჩვენი კვეყანა ჰავით, მდიდარობით, მიწით მდიდარია და შემძლებელია გავამდიდროს, ქონებით გავვაძლიერო, გავვაღწიო. ამ მდიდარსა და მომცემ კვეყანაში რაღა ვართ ღარიბნი და ღატაკნი?..“

ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 7, გვ. 89.

ამჟამად საქართველოში არის 1431 კოლმეურნეობა და 170 საბჭოთა მეურნეობა. ყოველი მესამე კოლმეურნეობის შემოსავალი აღწევს 100 ათას მანეთამდე. აფხაზეთში, აჭარაში, გურიაში და კახეთში ასეთი შემოსავალი აქვთ კოლმეურნეობათა ცალკეულ ბრიგადებს.

1940 წელს საქართველოს მინდვრებში მუშაობდა 512 კომბაინი. ხოლო გასულ წელს — 1700 კომბაინი და 10500 ტრაქტორი.

წელს გაიმართა ქართველი გლეხი, ბარაქა და ედო მის შრომას. კოლმეურნეობიდან ამ შრომის საფასურად იგი იღებს ტონობით მარცვლეულს, ათასობით მანეთის ფულად ანაზღაურებას, ამას ემატება საკუთარი დამხმარე მეურნეობის — ვენახის, ბაღის, ბოსტნის შემოსავალი. ელექტროგანათება, რადიო, ტელევიზორი, მაცივარი, თანამედროვე იმპორტული თუ სამამულო ავეჯი, გლეხის ოჯახის, მისი ყოფის აუცილებელ ატრიბუტად იქცა. სოფლის ახალგაზრდობისათვის ღია უმაღლესი სასწავლებელთა კარები. სოფელს გაუჩნდა საკუთარი ინტელიგენცია — ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები, ინჟინრები, ელექტრო და რადიო მექანიკოსები, ეკონომისტები. თავისი ცხოვრების ელფერით და ხასიათით იგი თანდათან და განუხრელად უახლოვდება თანამედროვე ცივილიზებულ ქალაქს.

ჩვენი სტუდენტობა

„გარდაიხვეწებიან ხოლმე საცოდავები და აქ დაშთენილი კი არა ჰფიქრობენ მასზე, რომ პური არა აქვთ საჭმელად, ხანლი არა აქვთ თავშესაფარავად, და არას ჰზრუნავენ, რომ ხელი გაუწოდონ შველისა და შემწეობისა და იმ საშინელ წამებას

გადაარჩინონ, რომელსაც შიმშილი და წყურვილი ჰქვია... რამდენს დაუღევია უღლეოდ სიცოცხლე, მშობელთა და მახლობელთაგან დაუტირებელს, მარტო იმის გამო, რომ შიმშილით დაუძლურებულ ხორცს ვეღარ უტარებია ღონიერი სული ჭაბუკისა, სწავლის ეკლიან გზაზე? რამდენ დედას გამოსცლია ამ გზით ხელიდან შვილი, რამდენ დას — ძმა, რამდენ მეგობარს — მეგობარი და რამდენი საიმედო შვილი დაკარგვია კვეყანას!“

ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 887.

ამჟამად საქართველოში თვრამეტი უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც სულ 25515 სტუდენტი სწავლობს.

გარდა ამისა, 51 ათასზე მეტი მშრომელი სწავლობს წარმოებისაგან მოუწყვეტლად.

სტუდენტების ნახევარზე მეტი ცხოვრობს კეთილმოწყობილ საერთო საცხოვრებლებში, ისინი იღებენ უფასო სამედიცინო დახმარებას, კურორტების საგზურებს, ცალკეულ ინსტიტუტებს აქვთ საკუთარი დასასვენებელი სახლებიც, ის სტუდენტები კი, რომლებიც წარმატებით ართმევენ თავს სწავლას, იღებენ სტიპენდიებს 28-დან 80 მანეთამდე.

ილია ოცნებობდა იმ დღეზე, როცა საქართველოს თუნდაც 25-30 თავისი ინჟინერი და აგრონომი ეყოლებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს 130 ათასზე მეტი ინჟინერი, აგრონომი, ექიმი, არქიტექტორი, პედაგოგი და მრავალი სხვა სპეციალისტი.

ამჟამად საქართველოში 170-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტია; მეცნიერებისა და კულტურის დიდი კერას წარმოადგენს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია. ამ აკადემიის 50 სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და განყოფილებაში მუშაობს 5 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი.

თელი სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა მიმართულია სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ, იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, რომლებიც დაკავშირებული არიან რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებასთან.

ახდენილი ნაბჯრა და ოცნება

ილია ჭავჭავაძე წერდა: „დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს.“

ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 9.

აქ დიდი ილიას ნატვრაც არის და ფედეცი, იმდროინდელი ვითარების ზუსტი ანალიზი და მომავლის განჭვრეტაც — მეოცე საუკუნემ უნდა ახსნას ბორკილები ადამიანს და მისი ყველაზე მწვავე ტკივილი უნდა მოარჩინოსო.

ილიას ნატვრა მართლაც სინამდვილედ აქცია მეოცე საუკუნემ, დიდმა ოქტომბერმა გადაშალა ახალი ფურცელი ჩვენი სამშობლოს ისტორიისა. ლენინის პარტიამ ხორცი შეასხა კაცობრიობის ყველა საუკეთესო შვილთა ოცნებას.

ამირან კუსრაშვილი,
ოთარ დემეტრაშვილი.



მართლაც, თვალთ და გულით გაიხარებს კაცი, როცა ამ ქარვისფერი მტკვრებით დახუნძლულ ზვრებს გახედავს. საჩხერის საბჭოთა მეურნეობის ვენახები 488 ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული. აქედან 288 ჰექტარი მსხმოიარეა. აქ ძირითადად საშამპანურე ჯიშებს ახარებენ.

ჩვენი ფოტოკორესპონდენტი სწორედ მაშინ ჩავიდა მეურნეობაში, როცა იქ რთველი იყო გაჩაღებული და რამდენიმე ფოტოსურათი გადაიღო.

ამ მეურნეობის ხელმძღვანელებმა რთველისათვის თავიდანვე დაიჭირეს თადარიგი; დირექტორი შალვა ჭილაძე ახლაც გვერდიდან არ სცილდება მევენახეებს (სურათი მარცხნივ, ზემოთ); რთველი რთველია, მაგრამ ახალი ვენახისათვის ნიადაგის მომზადებაც არ არის პატარა საქმე (სურათი მარ-



ყინია

ქიქსა,
ვაჯანსა...





ცხნივ, ქვემოთ). სახე გოდრებით დატვირთული ურმები ერთი-მეორეს მისდევენ (სურათი მარჯვნივ, ზემოთ).

ჩვენში რთველი შრომაც არის და ზემოც. იწოდება კაპანაძეს, მანანა-ჯალაღანდიშვილსა და მაგული სისვაძეს ბარაქიანმა შემოდგომამ ბევრი სიხარული მოუტანა. მათ წილს დამთავრეს საშუალო სკოლა და აქვე, მეურნეობაში დაიწყეს მუშაობა. აღბათ, ეს პატარა გოგონაც მათ კვალს გაჰყვება (სურათები მარჯვნივ, ქვემოთ).

რაც დრო გავა, საჩხერის საბჭოთა მეურნეობა, მით უფრო ფართოდ გაშლის მხრებს, მით უფრო მეტ ბარაქას დასდებს ადამიანთა გარჯას. საჩხერული ღვინო და ყურძენი მშრომელთა სულ უფრო მეტ სურსას დამშვენებს.

ფოტო შ. არჩვაძისა





არჩილი გაცხარებული ელაგება „გლეხის იმედის“ თავმჯდომარეს.

არჩილი. ასე რამ დაგაფეთა, კაცო! წამოდი, ერთად წავიდეთ.

ბაკურაძე. სად წამოვიდე არჩილი! იქ ახლა ყველაფერი გადახსნილია... შენ კი, გახსოვს, რა დამპირდი? გზაში თივას დაგაბვედრებო.

არჩილი. კი დაგპირდი, ჩემო თურმან, მაგრამ ხედავ, რა მოხდა? ვინ იფიქრებდა, მთაში ასე ნაადრევად აცივდებოდა. ჩემი ბრალია? ბუნებაც ჩვენ გადაგვიდგა. მთელი სექტემბერი ჩემი იყო მეგონა. ახლა ვაი და ვუი საქმეს არ უშველის, თივის ჩამოტანას ვერ მოვასწრებთ, ცხვარ-ბატკანი ბარში გაიშალა.

ბაკურაძე. პირდაპირ არ ვიცი, რა წყალში გადავვარდე! არჩილი. ერთი გამოსავალი დაგვრჩა, ფარები რაც შეიძლება ჩქარა უნდა გარეკონ მიმინოს ხევაში. შვიდ-რვა დღეში უნდა გაიარონ თაირისა და დუბ-ბაიდარის მინდვრები.

ბაკურაძე. ცხვარი ასე ჩქარა ვერ ივლის, არჩილი! არჩილი. ივლის, ივლის... ნაიალაღარი ცხვარია, არ გაუჭირდება! ნულარ მაგვიანებ, შაქროს დაუძახე და წავიდეთ.

არჩილი მანქანაში ჩაჯდა. სწორედ ამ დროს მოატანა თვალი მისკენ მიმავალ ნინოს. კაცი მოიღუშა, თითქოს პირიც გვერდზე მიიბრუნა, ეს ყველაფერი თვალისწამში მოხდა. მერე კი მანქანიდან გადმებული გადმოვიდა, ქალს შეეგება.

— აა, ჩვენი მასწავლებელი ჩამოსულა! — ხმამალა სთქვა მან და ნინოს ხელი ჩამოართვა. — გამარჯობა ნინო, როგორ იმგზავრე?

ნინოს მწარედ მოხვდა გულზე არჩილის ცივი და თავაზიანი კილო. სიტყვებსაც სხვანაირს ელოდა ქალი, მაგრამ მეორე წუთში თვითონვე უპოვნა გამართლება არჩილის საქციელს, — აბა ქუჩაში, ამ ხალხის თვალწინ ხომ არ გადამხევეოდაო...

ნინო. ცოტა დავიღალე... გზაში ძალიან ცხელოდა. არჩილი. ვერ ჩამოვედი, ნინო... ცხვრის გადარეკვა დაიწყე, დღე და ღამე გზაში ვარ! მთაში თოვლი მოვიდა.

ნინო. ავტობუსში მითხრეს... არჩილი. ნუ გამიჯავრდები, შეგეცოდები, ისეთ დღეში ვარ...

ნინო. ვიცი არჩილი, მაგრამ მე მეტი აღარ შემიძლია... არჩილი. კარგი, კარგი ნინო! ახლა მეჩქარება, ხვალ უკვე ველად გნახავ. წადი, ხალხი მოგვჩერებია...

— ხალხი? — შეცბა ნინო. როდის იყო ისინი ხალხს ემაღებოდნენ! და ისევ წამოიშალა ქალის გულში თბილისიდან გამოყოლილი შიში და ნაღველი.

ბარში ჯერ ისევ ცხელა, ივრის ყალთაღებზე ბული ტრიალებს. მეცხვარეები კი უკვე გამოიქცნენ თრიალეთიდან. მთაში ნაადრევად თოვლი მოვიდა. საზაფხულო იალაღებზე ცხვარ-ბატკანს აღარ დაედგომება.

„გლეხის იმედის“ ფარები გარდამავალ საძოვრებისაკენ მიიწვავრძელება. იხ. „დროშა“ № 5, 6, 7, 8, 9, 10.

ქარიან. სანამ სიცხე დავარდება, ცხვარ-ბატკანი ამიტომ დავაგებო მერე ნელ-ნელა გაუყვება საზამთრო ბინებისაკენ.

ზურია კობაიძის ცხვარი უკვე გამოსცდა ყარა-დუზის გასადევრებს. ერთ საღამოს ხეობის ყელთან მოწინავე ფარას წინ ვადაუდგა არჩილ ყანაშვილის მანქანა.

არჩილი. სად არის თქვენი ბრიგადირი. მამუკა. ქალაქში რაღაც საქმე ჰქონდა. მალე დაგვეწვავა.

არჩილი. ახლა მოუნდა სეირნობა? ეგრე არ ივარგებს, მოხუცო, ცხვარი მძიმედ მოგყავს!

მამუკა. რა ვიცი, დღემდე ასე დავდიოდი და კაცს არ უთქვამს, ცუდად დაიხარო!

არჩილი. ცოტა უნდა აჩქარდე, ძია-კაცო, დღეისწორს თქვენი ცხვარი მიმინოს ხევაში უნდა იყოს!

მამუკა. მოიცა, მოიცა! ეს დღეში რამდენი გამოვა! არსენ, მომეშველე!

არსენა. ოცდახუთი კილომეტრი, ბიძია მამუკა! მამუკა. არა, უფროსო, ამ სიცხეში ეგ არ შეიძლება! ცხვარი დავარდება!

არჩილი. ასეთი ნაპატიები და მოვლილი ცხვარი? ამას ვერ დაიჯერებ! (უბიდან ქალაღი ამოიღო, მამუკას გაუწოდა) აი თქვენი ახალი მარშრუტი. ცხვარი ჩქარა უნდა გარეკო, მოხუცო! გასაგებია?

ჩვეულებისამებრ, პასუხს აღარ მოუცადა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

მამუკამ მანქანას თვალი გადაევნა, მერე ქალაღი ხელში შეატრიალა, ჩაიციხა და ყარამანს მიუბრუნდა.

— მე ამას ვერაფერი გაუგე, ჩემო ყარამან! იქნებ შენ გაუგო რამე! — სთქვა და ის ქალაღი ვაცს რქაზე ჩამოაცვია.

— რას შვრები, ბიძია მამუკა! — შეიცხადა არსენამ.

— კაცი ამ გზაზე დავბერდი, მე ქალაღი რად მინდა! — უთხრა მამუკამ.

წიფლის-წყაროს ქუჩაზე ნინო და მაყვალა მიდიან.

მაყვალა. ხე-ტყე გამოგვიგზავნა, ბანკიდან სესხი აგვადები-ნა, ყოველნაირად ხელი მოგვიმართა! ცუდი რამ როგორ უნდა იფიქრო ასეთ კაცზე! ნამდვილად არ სცალია!

ნინო. კვირაზე მეტია, რაც ჩამოვედი, ერთხელ მაინც ვერ შემომძახა!

მაყვალა. (ერთი სახლის წინ გაჩერდა) ამ სახლში ცხოვრობს. შენ მხოლოდ არ აღელდე, ხომ გახსოვს, რაც გითხარი! მე ვიცი როგორ უნდა კაცებთან ლაპარაკი!

ნინო. შენ არ წახვიდე, აქ მომიცადე... მაყვალა. მალაზიაში შევირბენ და ახლავე დავბრუნდები. ნინომ ამოიოხრა, ყორეში დატანებულ ჭიშკართან მივიდა, მორიდებით დააკაუნა. ვიღაც დედაკაცმა გამოიხედა. ეტყობა, ხელები სარეცხში ჰქონდა. დაკარწახებულ მკლავებზე საპნის ქაფი აჩნდა.

— ვინ გნებავთ! — არჩილ ყანაშვილის ნახვა მინდა... — შინ რომ არ არის!

— დავუცდი... თუ შეიძლება! — კი, შვილო, დაუცადე.

ქალმა წინსაფარზე ხელები შეიწმინდა და ნინოს წინ გაუძღვა, ვაზის ხეივანში მიმალული პატარა კიბე აიარეს და პარმალზე ავიდნენ.

მამუკამ თვალს არ დაუჯერა, როდესაც ნინოწმინდის სერიდან ნაცნობ ყალთაღებს გადახედა. წინ ყველაფერი გადახსნილი იყო. ყველაფერი. მხოლოდ პატარა საურმე გზა დაეტოვებინა ყანაშვილს.

— გზა აგვერია, თუ ეს რა არის, კაცო! — ჩაიბუტბუტა მამუკამ და ზურიას მოხედა.


ზურიას ფერი ეცვალა. უზანგებზე შედგა და ცისკიდურს გახედა. ცისკიდურს უწევდა ანეულის გადაშავებული მინდვრები.

— ნუთუ ჩვენი წერილი უყურადღებოდ დასტოვეს! — წამოიძახა გულშემოყრილმა კაცმა.

— ხომ გითხარი, ზურია, ის წერილი თბილისში შენ უნდა ჩაგეტანა! ახლა კი ვინ იცის, მივიდა თუ არ მივიდა ჩვენი საჩივარი!

— ღმერთმანი, ვერაფერი გამიგია! — ჩაილაპარაკა ზურიამ. მერე მამუკას მიუბრუნდა: — აქ სადმე პატარა ყორულებს მაინც დასტოვებდნენ. მე წინ წავალ და მოგძებნი!

ცხენს ქუსლი ჰკრა და ნახნავში შეაგდო.



საკვირველი ქვეყანა საქართველო. თრიალეთის ქედებზე თოვლი მოვიდა, აქ კი, ივრის სანახებში, ისეთი ხვატი ჩამოწვა, მკათათვის დამღვეს რომ იცის.

უწყლოდ, უბალახოდ დარჩენილ ფარებს გადახნულ ყალთალებზე მოუწრო ამ უსაშველო პაპანებამ.

დასიცხული ცხვარ-ბატკანი ძლივს მიღინძილებს ძაფივით გაბზულ ბლიკზე. თუ ერთმა წაიფორხილა და უცაბედად წაიქცა, მერე ადგომას ვერ მოასწრებს, უკანები მაშინვე გათელავენ და უსულოდ მიაგდებენ.

„აბა, ყარამან, მიშველე!“ — ებუტბუტება მამუკა თავჩაქინდრულ ვაცს და ჯიკავ-ჯიკავით მიაძუნძულებს ნაურმაღზე, იქნებ ფარაც აჩქარდეს, წინამძღოლს მიჰყვეს... არა, დაუძლურებული ცხვრები თანდათან ჩამორჩნენ თავიანთ ელქაჯს და თუ აქამდე გუნდად შეკრულნი მიდიოდნენ, ახლა თვითული ფარა ისე გაიწვლა, მწყვეტები ერთმანეთს ხმას ვეღარ აწვდნენ.

ბლავის მშვიერი ცხვარი, მამუკა ყალიონის ტარით მტვერსა და ოფლში აზელილ უღვაშებს იქეჩავს, გულშემოყრილი ბუტბუტებს: „შავი დღე დაგვადგება, არსენ, თუ სადმე აღზაჯზე საკვები არ დაგვახვედრეს...“

— დაგვახვედრებენ, ბიძა მამუკა! ღმერთი ხომ არის ამ ქვეყანაზე!

მზე უკვე გადაიხარა, ნახნავეს კი ბოლო არ უჩანს, გზისპირებზე ბალახის ნატამალი აღარ არის. მთიდან ადრე ჩამოსულ ცხვარს რაც მოუძოვია, ხომ მოუძოვია; დანარჩენი გაუქელავს და წაუხდენია.

აგერ ერთი ნაგაზი გამწარებული უყევს დიდ მანძილზე ჩამორჩენილ ჭედელას, დაოსებული პირუტყვი ადგილიდან ვერ დაუძრავს. ნაგაზი არ მოეშვა, ახლა მეორე მხრიდან შემოურბინა, შეუტია. თავგაბეზრებულმა ჭედელამ ორი-სამი ნაბიჯი გადადგა და იქვე ჩაიკეცა.

„დაიწყაო!“ — წაიჩურჩულა ელდანაცემმა მამუკამ, დავარდნილი ცხვარი აიყვანა და ურემს დაუღო.

დაღამებას ბევრი არაფერი აკლდა, არჩილ ყანაშვილი შინ რომ დაბრუნდა. მთელი დღე ყარაიას ველზე ტრიალებდა, მეცხვარეებს ჩასჩინებდა, ფარები მოშურებულნი გარეკეთო. თვითონაც გრძნობდა, ფათერაკი კარს იყო მომდგარი... ამიტომ პარმაღზე ნინო რომ დანახა, შუბლი შეიკუმხნა;

„დაჯექი ახლა და ასი ბოდიში მოუხადე ამ ჩერჩეტს! რა სასაცილოა შეყვარებული ქალი! სხვა არაფერი არ ახსოვს ქვეყანაზე!“

— გაიფიქრა არჩილმა. მერე პირზე ღიმილი გადაივცა და ნინოს მოეხვია.

— მე კი ახლა შენთან უნდა წამოვსულიყავ! ხელ-პირს დავიბან, ტანსაცმელს გამოვიცვლი და...

ნინო. გუშინ მთელი ღამე გიცადე... არჩილ. ნუ გამიწყურებ, ჩემო გოგო! ხომ იცი, როგორ მიყვარხარ! (მკერდზე მიიკრა და აკოცა)

ნინო. მაკოცე... კიდეც მაკოცე, ჩემო საყვარელო! როცა შენ მკოცნი, არაფრისა აღარ მეშინია!

არჩილ. გამიშვი, ნუ დამაზრჩვე!

ნინო. წუხანდელი ღამე ტირილში გავათენე. შენ ისე ცივად შემხვდი მოედანზე...

არჩილ. სულელო!

ნინო. ვიცი, ვიცი! იქ უცხო ხალხი იყო... სხვანაირად არ შეიძლებოდა! მაგრამ მე ჩემი მაინც დამემართა! მარტო რო დავრჩი, უცბად გავიფიქრე, აღარ ვუყვარვარ-მეთქი! (პოცინის) რამდენი რამ მქონდა სათქმელი... ყველაფერი დამავიწყდა! შენ რომ დავინახავ, აღარაფერი აღარ მახსოვს!

— ეს კი მჯერა ჩემო ნინო! — ჩაიციხა არჩილმა, მაგრამ ახლა ამ ჩაიციხებას ყურადღებას ვინ მიაქცევს! ის კი არა, გულში დანა, რომ დასცე, ახლა შეიძლება ისიც ვერ გაიგოს უზომოდ ბედნიერმა ქალმა.

ნინო. შუადღის მერე გიცდი! ვერ წარმოიდგენ, როგორ მიხაროდა, რომ გიცდიდი! უწინ ყოველთვის ველავდი, ვიღლებოდი... დღეს კი ისე დაღამდა, არც გამიგია!

არჩილ. მაცალე, ნინო, საწვიმარი გავიხადო!

ნინო. მომეცი... (საწვიმარი ჩამოართვა და სკამზე დიდის ამბით გადაჰკიდა, მერე პორტფელსაც მოუხანა ადგილი. სარკეში ჩაიხედა, თმა გაისწორა, ოთახში გაიარა-გამოიარა).

არჩილი ჩუმად ადევნებს თვალს.

ნინო. (საწერ მაგიდასთან მივიდა) ეს მაგიდა ორივეს გვეყოფა. მე ამ კუთხეში დავჯდები და რვეულს გავასწორებ. დანარჩენი შენი იყოს... აქ კი ტანისამოსის კარადას დავდგამ. იცი, რა კარგი კარადა მაქვს! შარშან ვიყიდე თელავში! ამ ფანჯარასთან კი... (სიტყვა აღარ დაამთავრა, წყნარად ჩაიციხა და არჩილს შეხედა).

— არჩილ, შენ ყურს არ მიგდებ!

არჩილ. მაპატიე, ნინო, რაღაც გამახსენდა... ნინო. უი, ღმერთო მომკალი, მეც როგორ დამავიწყდა! ქუჩაში მაყვალა მიცდის!

არჩილ. მაყვალა?! ნინო. ნუ გეწყინება, არჩილ! მე აქ მარტო ვერ მოვიდოდი...

არჩილ. მართალი ხარ, ნინო... მასწავლებელი ქალი ხარ. სახელს უნდა გაუფრთხილდე! დღეიდან აქ ნულარ მოხვალ, თორემ ვინ იცის, მეზობლები რას იტყვიან! გაგვჭორავენ...

ნინო. რაც უნდათ, ისა სთქვან! ჩვენ ხომ... არჩილ. ჩვენი ამბავი ჯერ ხალხმა არ იცის, ნინო!

ნინო. ჩვენ რა გვაქვს დასამალავი! გაიგონ... რა მოხდება!

არჩილ. დაჯექი ნინო, ყური დამიგდე! შენ ჭკვიანი ქალი ხარ, უნდა გამოვი, ანგარიში უნდა გამოვიო!.. მე აქ ერთი დიდი საქმე წამოვიწყე. ან ყველაფერი, ან არაფერი, — ასეა ახლა ჩემი ამბავი... თუ იმ საქმემ გამიმართლა, მაშინ თბილისში სადაც მინდა იქ მოვეწყობი! შენ არ იცი, როგორ მინდა მოვშორდე აქაურობას.

ნინო. მე აქაც ბედნიერი ვარ შენთან!

არჩილ. არა, ნინო, თბილისი განა იმითმ დავტოვე, რომ ამ ჯორღულში ამომხდეს სული?! თბილისი მინდა, თბილისი! ვიცი, სადგურზე დროშებით არ შემხვებდნენ, მაგრამ ამას ფასი აღარა აქვს! ძალიან ვწუხვარ, ჩემო ნინო, მაგრამ რა ვქნა, სანამ ამ საქმეს არ მოვრჩები, ჩვენი ქორწილი უნდა გადაიდოს...

ნინო. კი, მაგრამ... ჩემი მდგომარეობა ხომ იცი, არჩილ! მე მალე სკოლაში ვერ გამოვჩნდები!

არჩილ. მაგახედაც ბევრი ვიფიქრე, ჩემო ნინო! თბილისში უნდა წახვიდე...

ნინო. თბილისში?! არჩილ. გული ნუ დაგწყდება, ნინო! ჩვენ შვილი კიდეც გვეყოლება. იქ ერთი ნაცნობი ექიმი მყავს, ძალიან გამოცდილი კაცია... შაქრო წაგიყვანს და წამოგიყვანს!

ნინო. (პირზე რაღაც უცნაური ღიმილი გადაეწო) არჩილ... სიყვარულო! ამას რას მეუბნები! ჩვენი ბავშვი...

არჩილ. (ცივად) სხვა გზა არ არის.

ნინო. არჩილ, გამიგონე... არჩილ. ნუ გეშინია, ყველა ქალი ასე აკეთებს...

ნინო. ყველა?! (ზარდაცემული შეჰყურებს არჩილს)

არჩილ. ნულარ დაგვიანებ.

ნინო. ექიმთან მგზავნი, მუცელი მოიშალეო... მე კი მეგონა საქორწილო კაბას ჩამაცმევდი! ნიავს არ მომაკარებდი, რომ შენი შვილი დედა გავმხდარიყავ. უსინდისო!

არჩილ. (სარკეში მიხურა) ა-ა, ახლა უსინდისოც გავხდი? შენ კი სულიწმინდა ხარ? არა, ჩემო ნინო, არც ისეთი უცოდველი ბრძანდები, როგორც შენ ფიქრობ. ვინ წაილო ჩემი დასაბეზლებელი წერილი! შენ არ წაიღე?

ნინო. ღმერთო ჩემო! რას ამბობ, რა წერილი, ვისი წერილი?!

არჩილ. ვისი? (მაგიდის უკრა გამოსწია და ნინოს სურათი ამოიღო)

— ვისაც ეს სურათი აჩუქე! არ გახსოვს?

ნინო. ღმერთო, ნუ გადამრევ... არჩილ. გამწირე, ვიღაც მეცხვარეზე გამცალე. მერე მოდიხარ და მეუბნები, ჩვენი ბავშვი, ჩვენი ბავშვიო...

ნინო. მე შენ კაცი მეგონე!.. შენ კი თურმე რა ყოფილხარ!.. ოთახიდან რომ გადიოდა, მხოლოდ ერთი ფიქრი, ერთი სახვეწარი უტრიალებდა გულში. „ღმერთო აქ ნუ წამაქცევ და მერე თუ გინდა ქუჩაში სული ამომხადეო... ღმერთო აქ ნუ წამაქცევ!“

გრძნობდა, ერთი სიტყვა კიდეც რომ დაცდენოდა, ან წამიერად შეჩერებულიყო, მერე რა დააკავებდა ყელთან მომდგარ ყვირილს, ცრემლს, გლოვის ზარს.

ასე გაიარა პარმალი, ჩავიდა კიბეზე. ჭიშკარი კი ვერ გააღო, მაშინ გაუთავდა ძალონე. დაბარბაცდა.

მრეცხავმა ქალმა ხელი მიაშველა.

— რა მოგივიდა შვილო, ცუდად ხომ არა ხარ?

ნინო. არაფერია. ფეხი დამიციურდა.

თავპირზე ხილბანდი მოიხვია და ქუჩაში გავიდა. მდლობა ღმერთს, მაყვალა წასულა, თორემ ახლა რა გაუძლებდა იმის ქაქანს!

ვიღაცამ გამარჯობა უთხრა, ვიღაცამ მხარი გაჰკრა და კინაღამ წააქცია, აგერ ქუჩის გადასასვლელზე საბარგო მანქანის მუხრუჭების ღრქალმა დუქნებიდან ხალხი გამოყარა...

— როგორ დადიხარ, ქალო, სიცოცხლე მოგებზრდა?! — დაუყვირა შოფერმა. ნინოს არც ეს გაუგია... მდინარე ნაფოტს რომ წაიღებს, ისე უნებისყოფოდ, უსურვილოდ, უჩინოდ მიჰყვება ხალხით სავსე ქუჩას. მიდის და ერთი რამ უკვირს — რომ ეს ქვეყანა არ დაიქცა მისი საცოდაობით... რომ ჯერ კიდევ გული არ

გაუხსნა და ეს საზოგადოებრივი, საძულველი, სიყვარულსა და ბედნიერებას მონატრებული სხეული მიწის შესაქმელი არ ვახდა...

ნარეკავის ხილს გვერდი აუარა, პატარა დაღმართი ჩაირბინა და ხევის პირას შეჩერდა. ხევი წყალი მოდიდებულყოფი, ნინოს თავბრუ დაესხა, ზავითან ტალღებს რომ გადახედა.

უღონოდ იქვე ჩაიკეცა და თვალები მილულა. ჯერ თბილისი ზღვა დაინახა, ლამაზად მოვატული იალქნები, ალმურში გახვეული ოქროსფერი გორაკები... „წავიდეთ, ნავით გავისეირნოთ“, — უთხრა არჩილმა. „არ მიყვარს ნავი. მეშინია, ერთხელ ალაზანზე გადაგვიბრუნდა“, — მიუგო ნინომ...

მერე იმ დასაქცევმა მეხსიერებამ ბალახებში მიმალული დღე გააცოცხლა. „მოდით, ნინო! აქ კი არა, აზვირთებულ ზღვაზე გადაგიყვანს!“ — სთქვა არჩილმა.

„წყალში რომ ჩამავდო?“
„გაი შენ ჩემო თავო, წყალში ჩასაგდებად გაგიმეტებ?“ — წასჩურჩულა არჩილმა.

მაშინ კი წასვლა ცრემლი ახალგაზრდა ქალს. შეიძლება, იგი ამ ცრემლმა გადაარჩინა... წამოდგა, ყალყზე შემდგარ ტალღებს თვალი შეავლო და უკანვე გამოიქცა. ერთი-ორხელ მოიხედა, თითქოს ეშინოდა, ის მღვრიე ტალღები დამედევნებიან და ხევი ჩამათრევენო.

შორს, შორს აქედან!
ნინომ იცის, ასეთ დროს ქალის გზა საით მიდის. გაუგონია, ბევრჯერ წაუკითხავს! მდინარისაკენ, თუ მდინარე ახლოა, რკინიგზისკენ, თუ ის უფრო ემარჯვება... ან კიდევ შინ, პატარა ყუთისაკენ, სადაც დედა თავის შაქარს ინახავს რაღაც წამლისათვის... ეს არ არის ჩემი გზა... არ არის! არ არის!
— ნინო! ნინო!

ქალმა მოიხედა. გზაზე მხედარი მოჰქროდა.
— ზურია! — შესძახა ნინომ.

— მოგკვდი, გოგო, შენი ძებნით! აქ რა გინდა, ამ გაგანია სიცხეში? — უთხრა ზურია.

— ზურია... ჩემო ზურია! რა უბედური ვარ, რომ იცოდეს!
— უბედური? — ზურია ცხენიდან ჩამოხტა და მხოლოდ ახლა დაინახა, ქალს ადამიანის ფერი აღარ ჰქონდა.

— რა მოგივიდა, ნინო?
— ახლა ნურაფერს მკითხავ! თუ შეგიძლია, ჩუმად წამომყვივი... გული მაქვს ცუდად. არ ვიცი, სახლამდე მივალწევ თუ არა!
— უთხრა ნინომ.

ზურიას თვალი ვერ გაუმართა, თუმცა მისი დანახვა ძალიან გაუხარდა.

მაყვალა კი ამ დროს მალაზიის წინ იდგა და ნავაჭრით დატვირთულ შაქროს დასცინოდა.

— კრიუანგი ხარ, ბიჭო, კრიუანგი! საცოლეს მანეთნახევრიანი ოდეკალონი უყიდვ? მეტი ვერ გაიმეტე?

შაქრო. გაჩუმდი, მაყვალა, სირცხვილია! კრამიტის ფული გადასახდელი გვაქვს. დაგვიწყდა?

მაყვალა. (კისკისებს) აბა ნახე, თუ ეს არჩილს არ ვაჩვენო და თავი არ მოგჭრა! მე როცა რამე დამჭირდება, ვალი და ვახში მაშინ გაგახსენდება!

შაქრო. სიცილს ტირილი მოსდევსო, შენც ისე არ დაგემართოს, მაყვალა!

ამასობაში არჩილის სახლსაც მიუახლოვდნენ. მაყვალამ ეზოში შეიხედა.

— დედა! — დაუძახა მრეცხავ ქალს.

მრეცხავი ქალი. წავიდა შვილო, არ მოიცადა. მგონი ცუდად ვახდა.

მაყვალა. ცუდად? (შაქროს მიუბრუნდა) არიქა, იქნებ ამიხდეს, შენი სიტყვა, შე კუდიანიო! წამოდი, დავეწიოთ!

* * *

ძველი ციხის ნანგრევები. აქ ისეთი სიწყნარეა, გამოქვამულიდან წყაროს ჩუხჩუხიც კი ისმის.

ლაგამწამოყრილი ნადირა მადიანად ახრამუნებს კედლის ძირებში ჩახშირებულ ბალახს.

ზურია კობაძე ზარდაცემული უგდებს ყურს ნინოს აღსარებას. ჰა, უკვე აიშალნენ, აირ-დაირივნენ მის გულში ერთი-მეორის საპირისპირო ფიქრები. ქალის ნაამბობმა აუტანელი წამება მიაცენა ახალგაზრდა კაცს, თუმცა ერთის მხრივ...

არა, ახლა ზურია კობაძე ამ თუ მცას არ ვაპყვება, ეგ რა ვაჟკაცის წესია... შენ უნდა ჩააჩუმო შენი გული, და ენას მხოლოდ ის ათქმევინო, რაც ასეთ დროს მეგობარმა მეგობარს უნდა უთხრას.

ძნელია, ვაი რა ძნელია ამის გაკეთება, მაგრამ ზურიას ალალ გულს თურმე ესეც შესძლება.

— დაწყნარდი, ნინო! თქვენ ალბათ ერთმანეთს ვერ გაუგებთ და ტყუილუბრალოდ გაცხარდით! გაცხარებულ გულს კი ხელში ცხრილი არ უჭირავს, სიტყვას არ არჩევს! ხვალ ისევ შერიგდებით!

ალარ დამთავრა, გულში მწარედ ჩაეცინა ვებზე.

მისი გულითადი თანაგრძობა, ამხანაგური დამოკიდებულება რაღაც შეეხება აძლევს ნინოს და შეიძლება სწორედ ამიტომ ეუბნება ზურიას ისეთ რამეს, რასაც სხვა დროს არავის, არავის არ ეტყოდა.

— არა, არა ზური! მე ვიცი... მე იმას ცოლად არ ვუნდებარ! ისეთი რამ დამწამა...

სახელი დაუმალა, სხვა ყველაფერი უთხრა... და ისევ აფორიაქდა ზურია კობაძე, ისევ ის ცოლვა-მადლი შეეჭიდა მის გულს.

— არ მეგონა, თუ ასეთი არამზადა კაცი იყო! სახვეწარი რა გაქვს, გოგო?! თვალებში მიაფურთხე და...

— შენ ყველაფერი არ იცი, ზური! — შეაწყვეტინა ნინომ. — ხელი თუ არ მოვაწერეთ, ნამდვილად დავიღუპე!

ახლა ძნელი სათქმელია, მიხვდა თუ ვერ მიხვდა კობაძე ამ სიტყვების ფარულ აზრს, მხოლოდ ეს კია, კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო, სიტყვა გაუჭირდა...

„ნუთუ კიდევ უყვარს!“ გაიფიქრა, მერე სთქვა:

— ნუ გეშინია, ნინო! მართლა მგლებში ხომ არა ცხოვრობ? ყველაფერი კარგად იქნება...

— თუ ჩემი რამე გწამს, ნუ დამცინებ, ზური! მეც არ ვიცი, ასე უცბად გული რატომ გადაგიშალე! ძალიან უბედური ვარ. თავს მოვიკლავდი, დედაჩემი რომ არ მეცოდებოდეს! ოთხი შვილიდან ერთი შევიჩიი იმ საწყალს, მეც რომ გამოვეცალაო... თუმცა ჩემი კაი-ქალობის ამბავს რომ შეიტყობს, ჩემზე ადრე შეიძლება იმას გაუხსნას გული!

— ნი-ნო! — მოისმა შორიდან მაყვალას ხმა.

ნინო წამოდგა.

— მეძებენ. წავალ, ზური! ახლა არა მიშავს — ბილიკს მიაშურა, უცბად რაღაც მოაგონდა, მოტრიალდა.

— გახსოვს, ზური, ის წერილი, თბილისში რომ გამატანე!

ზური. ა. მახსოვს კი არა, მამუქამ შემიკლა ხელში იმ წერილის გამო!

ნინო. რაზე იყო ის წერილი?

ზური. მწყემსებმა საჩივარი გაგზავნეს ცენტრალურ კომიტეტში... შენ რაზედ გაგახსენდა?

ნინო. (მწარე ღიმილით) არაფერი, ისე...
ზური. წერილი ხომ გადაეცი, ნინო?

ნინო. იმ დღესვე.

ზური. მაშ რა მოუვიდათ იმ ოჯახს შენებულებს, პასუხი რომ აღარ გვალირსეს!

— ნინო! — ისევ მოისმა მაყვალას ხმა.
— წავედი, ზური! — ნალვლიანი ღიმილით თავი დაუქნია, წავიდა...

* * *

არჩილი კაკუნმა გამოაღვიძა, (ტახტზე გაუხდელად დასძინებოდა) წამოდგომა დაეზარა, რომ სინათლე აენთო.

— შემოდი, — გასძახა მან და თავი ისევ მუთაქაზე დასდო.

კარი გაიღო.

— რომელი ხარ!

— ჯერ სინათლე აანთე! — სთქვა ბნელში უჩინარმა სტუმარმა. არჩილმა კედელს ხელი მოუფათურა, ამომრთველი იპოვნა.

ოთახი განათდა.

კარებში ზურია კობაძე იდგა.

არჩილი. (სწრაფად წამოდგა) ო-ო, ამას ვის ვხედავ! დაბრუნდი ქალაქიდან! ცხვარი როგორ დაგხვდა?

ზური. ცხვარი მერე იყო, ამხანაგო ყანჩაშვილო! ახლა აღამიანზე ვილაპარაკოთ!

არჩილი. (სწრაფად ახედ-დახედა სტუმარს. სკამი მიაწოდა). დაჯექი, კაცო, შენ რაღაც სხვანაირად მელაპარაკები! ხომ მშვილობაა!

ზური. (არ დაჯდა) ამ საღამოს ნინო ვნახე... ძალიან ცუდად არის!

არჩილი. რა მოუვიდა, დღეს კარგად იყო?
ზური. ნინომ ყველაფერი მიაბო...
არჩილი. ნუთუ ყველაფერი?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





რუსთაველები

გიორგი მერჩულის ქუჩა
(ძველი თბილისი)

ზ. ლექსე

კობა წაჭაძე





მაგდანა სამარგულიანი
(სოფ. ლაღიში)



სეინერები (ბათუმი)



გიორგიკა (სოფ. ლაღიში)

F-2985.




ბალატოშვი

გუგუშვი
შეუქმეს



ბაკურიანი






ქართული

საქართველოს

დ. კლიბუცილიძის
„როსტომ მანველიძე“

ზ. ლექვა

ურემი (რაჭა)





მემორწილი აფერისტები

ყოველწლიურად მილიონზე მეტი ამერიკელი გარბის თავისი სახლიდან. ეს საქმეოდ შთამაგონებელი რიცხვია ისეთი დიდი ქვეყნისთვისაც კი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია.

ვინ არიან ეს ადამიანები და რატომ იკარგებიან?

ესენი, უმთავრესად, მამაკაცები არიან, განსაკუთრებით ცოლიანები, რომლებიც ტოვებენ თავიანთ ოჯახურ კერას. ოჯახებიდან გარბიან ქალებიც, მაგრამ მათი რაოდენობა შედარებით მცირეა — ათას გაქცეულ მამაკაცზე მხოლოდ ოთხი გაქცეული ქალი მოდის. გაქცევის მიზეზი სხვადასხვაა: ფინანსური სიმწიფეები, ემოციური იმედგაცრუებანი, სიდედრისა და დედამთილის აუტანელი ხანაი და ა. შ.

მოულოდნელად გაქრა ერთი ტხხელი მეწარმე. გავიდა ხანი და მისმა ცოლმა ვენესუელადან მიიღო ქმრის წერილი. ორი თვის შემდეგ გაქცეულმა შეწყვიტა წერილების წერა და მხოლოდ ფულს გზავნიდა ყოველი თვის ბოლოს. დარწმუნებულმა, რომ ქმარმა იგი სხვა ქალის გამო მიატოვა, მეწარმის მიუღწევი დაიჭირა და დეტექტივები ქმრისათვის თვალყურის სადევნებლად. დეტექტივები ჩავიდნენ ვენესუელაში, და ძლივძლივობით იპოვნეს ეს კაცი. იგი განმარტოებით იჭდა მდინარისთან და ანკესით თევზაობდა. „ახლა მე მშვიდად და წყნარად ვარ, ცოლს ფულს ვუგზავნი, მეტი რაღა უნდა ჩემგან?“ — იკითხა მან.

გაქცეული მოზარდების რიცხვი კაცთა რიცხვზე ნაკლები როდია. ამ მოვლენას მეტად სერიოზული ხასიათი აქვს. მოზარდები სახლებიდან გარბიან კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში გამოცდების დაწყების წინ, რამდენიმე კვირით ადრე, ან გამოცდების შემდეგ. აქაც ჭაბუკები სჭარბობენ ქალიშვილებს, მათი შეფარდებაა — 8:16. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ერთი ნაწილი ქალიშვილებისა სახლიდან გარბის, რათა ამა თუ იმ ახალ „უარსკვლავს“, თავის სათაყვანებელ მომღერალს აპყვეს და სდიოს ქალაქიდან ქალაქში. როცა ცნობილი მომღერლის ელვის პრესლის პოპულარობამ

რობამ ზენიტს მიაღწია, მოზარდთა გაქცევა სახლიდან საოცრად გაზვიარდა.

არსებობს გაქცეულთა კიდევ ერთი სახეობა: ესენი არიან ორცოლიანები და მექორწილე აფერისტები. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 700 ათასი ორცოლიანია. უფრო ზუსტად, ამთავად 10 პროცენტით მრავალცოლიანია. ამერიკელი ქალები, ბუნებრივია, ასეთ ამბებს მუდამ აღშფოთებით ხედებიან, მაგრამ ყველაზე მეტად მათ სწულთ მექორწილე აფერისტები, რომელთა რიცხვი უკანასკნელი თხუთმეტი წლის სტატისტიკის მონაცემებით, ოცი ათას კაცამდე აღწევს. მათი მუშაობის „მეთოდი“ ასეთია: შეუჩნდებიან ქალს, შევარბუთავენ მოაჩვენებენ თავს, მერღ ჭვარსაკ დაიწერენ, ამ გზით ეშმაკურად გამოსტყუებენ ფულს „მეუღლეს“ და უკვალად გაქრებიან. ეს მექორწილე აფერისტები არც თუ ისე ხარბები არიან. ისინი ჩვეულებრივ კმაყოფილებიან რამდენიმე ასეული დოლარით და იშვიათად სცილებებიან 4 ათას დოლარს.



სასიფათო თემა


დასავლეთ გერმანიაში, ქალაქ მაინის ფრანკფურტში მოეწყო პუბლიცისტი იოჰიმ იოსტენის პრეს-კონფერენცია, რომელიც მისი ახალი წიგნის გამოსვლას მიეძღვნა. მაგრამ ავტორი მოუთხრობდა არა თავის წიგნის შინაარსზე, არამედ იმ უბედურებათა შესახებ, რომელიც მან ამ წიგნის გამო გადაიტანა. იოსტენმა განაცხადა, რომ ციურიხში, სადაც იგი უკანასკნელ ხანებში ცხოვრობდა, უცნობმა ბოროტმოქმედებმა მას მოპარეს დიდად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებსაც იგი ემყარებოდა თავისი წიგნის წერის დროს. ამის შემდეგ იგი დააპატიმრა ციურიხის პოლიციაში, რომელმაც მოაწყო მისი დაცოტხვა ექიმო-ფსიქიკატრის თანდასწრებით. შემდეგ, ამ ექიმის დასკვნის მიხედვით, იგი მოათავსეს ციურიხის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. იოსტენმა მოახერხა საავადმყოფოდან თავის დაღწევა, მაგრამ იქაურმა პოლიციამ აუკრძალა მას შევიცარიის ტერიტორიაზე ცხოვრება.

მთელი ეს უსიამოვნებანი იოჰიმ იოსტენს თავს დაატყდა იმიტომ, რომ

იგი დაინტერესდა მეტისმეტად სახიფათო თემით: პრესიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის გარემოებებით. იოსტენი თითქმის სამი წლის განმავლობაში იკვლევდა ამ საქმეს. 1964 წელს, ჯერ კიდევ უორენის კომისიის მოხსენების გამოქვეყნებამდე, იოსტენმა გამოცხადა წიგნი ოსვალდზე; ამ წიგნში იგი ამტკიცებდა, რომ ამერიკელი პრესიდენტი იმსხვერპლა უკიდურესად მემარჯვენე ძალების შეთქმულებამ. თავის ახალ წიგნში „სიმართლე კენედის მკვლელობაზე“ იოსტენი დიდად ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით ისწრაფვის დამტკიცოს, რომ უორენის კომისიის მოხსენება ხალასი სიცრუეა და სხვა არაფერი.

თავის წიგნზე მუშაობის დროს იოსტენი არა ერთგვის გააფრთხილებს — ამ თემაზე წერას თავი დაანებო. მან კი აინუნშიც არ ჩააგდო ეს გაფრთხილებანი. მაშინ ამ გაფრთხილებებს მოჰყვა დოკუმენტების მოპარვა, პატიმრობა, საავიეთში მოთავსება და ფაქტიური გასახლება შევიცარიიდან.

თავის პრეს-კონფერენციაზე მაინის ფრანკფურტში იოსტენმა განაცხადა, რომ ყველა ამ უკანონობასა და მის აზრად აგდებამი ბრალი მიუძღვის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შევიცარიაში. ამ საელჩოს მუშაკები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ იოსტენისათვის ხელი აეღებინებინათ კენედის მკვლელობის გარემოებათა გამოძიებაზე.



ასე ზრდის გონი თავის ჯარისკაცებს

ბუნდესვერის ჯარისკაცმა სორსტ ბუდერმა ყაზარმაში, თავისი კარადის კარზე, შიგნითა მხრიდან მიამაგრა პლაკატი: „მე ატომური იარაღის წინააღმდეგი ვარ!“ „ახლავე გადააგდე“ — გაცეცხლდა ობერ-ლეიტენანტი და პლაკატი თავისი ხელით ჩამოგლიჯა. ჯარისკაცმა ბუდერმა კაპიტანს შესჩივლა და მისგან ასეთი პასუხი მიიღო: „რამდენი წლისა ხართ? ოცდაერთის? ჰოდა, აბა, იცოდეთ, შენი ჭკუის საქმე არ არის, გვჭირდება თუ არა

ჩვენ ატომური ბომბი. ეს საქმე ჩვენ, ძველ ჯარისკაცებს მოგვანდა“

აი, რას ახწავლიან ახალგაზრდა ჯარისკაცებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. უკანასკნელ ხანებში მათ მოაწოდებენ სწიშულოდ და სამაგალითოდ მიჩნობს თავსებულადებული ტექტონელი გარეწრები, რომლებიც ვიეტნამში გაემგზავრენ უღანაშუალო ადამიანების გასაუფლებლად. თუმცა მათ მონაწილეობას ამერიკის აგრესიაში ვიეტნამის წინააღმდეგ ჯიუტად უარყოფენ ბონის ოფიციალური პირები, მაგრამ მათი ბნელი საქმენი მაინც გამოდის სააშკარაოზე. „ახლა ქალაქ კალდს მყავს თავისი გმირი!“ — შეატყობინა თავის მკითხველებს ერთმა ბავარულმა გაზეთმა და თანაც დაწვრილებით აუწერა, თუ როგორ ბომბავდა ვიეტნამის მშვილობიან სოფლებს შტუტგარტელი „ამერიკელი“, გვარად დენგლერი. მეორე „ამერიკელი“ მფრინავს — პრედიგერის გვამი თუთიის კუბოთი ჩამოიტანეს, რა თქმა უნდა, არა ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მაინის ფრანკფურტში. მისი დასაფლავებაც გადაიქცა თავისებურ „მაგალითის საჩვენებლად“ ახალგაზრდა ჯარისკაცებისათვის: უკრავდა სასულიერ ორკესტრი, შემდეგ მისცეს სასულიერი, კუბოს თავზე გადაკმული იყო დროშა (ხალხის თვალის ასახვევად — ამერიკული). დასაფლავებისას წარმოთქმული იყო რევანშისტული განწყობილებებით გამსჭვალული სიტყვები.

მაგრამ ჰიტლერის რეიხის დროისაგან განსხვავებით დღეს ბევრი დასავლეთელი გერმანელი თავს როდი ისულელებს. პრედიგერის დასაფლავების მეორე დღეს მანჰიმში გამართა დემონსტრაცია. ახალგაზრდებს, რომელთაც არ სურთ ცხვარივით უკან მისდევდნენ ახლად მოვლენილ „ფიურერებს“, მოჰქონდათ პლაკატები: „პრედიგერის სიკვდილი — ჯონსონის სინდისზე“, „დღეს პრედიგერი — ხვალ შენ“, „ხელები შორს ვიეტნამისაგან“.

ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ნათელყოფს, თუ როდენ ფარისევლურია ამერიკელი პოლიტიკოსების განცხადებები, თითქმის სამხრეთ ვიეტნამის მიმართ მათ არავითარი დამპყრობლური გეგმები არა აქვთ. ამერიკელი გენერლები ვიეტნამის სასაკლაოზე ჰგზავნიან არა მარტო თავისი ქვეყნის ახალგაზრდებს, არამედ სათანადო კადრებს — საზარბაზნე სორცის ეძებენ სხვა ქვეყნებშიც. ბონელი რევანშისტები აქაც მათი უახლოესი მოკავშირენი და თანამგრძნობენი აღმოჩნდნენ.

თეატრალური ინსტიტუტი... მეორე კურსის სტუდენტები ერთი-მეორეს სცვლიან სცენაზე. აი, მაყურებელთა წინაშე გამოვიდა მაღალი, ოდნავ გამხდარი ჭაბუკი. ის თავისუფლად დაჯდა სკამზე, მაყურებლები საზურგეებს მოწყდნენ და სმენად იქცნენ. მთხრობელი ძალიან საინტერესოდ ესაუბრებოდა მათ, მის ხმაში სითბო და სიძლიერე იგრძნობოდა. მაყურებლებმა პირველად აქ დაინახეს გიორგი გეგეჭკორის სცენურობა, მისი ბუნებრივი არტისტიზმი, გაიგონეს მისი ლამაზი ტემბრის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ კი გიორგი გეგეჭკორის პირველმა სცენურმა სახემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჰკარბა. მოჭამაგირე ბიჭს ანსახიერებდა. არც ერთი სიტყვა არა აქვს ბიჭს სათქმელი, მხოლოდ წუთიერად გამოჩნდება სცენაზე, საოპორით ხელში, სულმოუთქმელად გადაჰკარავს ჭიქით მიწოდებულ არაყს, შემდეგ სარკეში დაინახავს თავის გაოგნებულ თვალებს... ეს სახე უმაღლესად აღიბეჭდა მაყურებელთა მეხსიერებაში.

ინსტიტუტში ყოფნის წლები აღსავსე იყო ძიებით და დაუღალავი შრომით. სპექტაკლიდან სპექტაკლამდე იზრდებოდა გიორგი გეგეჭკორის ოსტატობა, ყალიბდებოდა და ვი-

რულს დღესაც ხატივით ინახავს გულში. ამიტომ საჭირო იყო იმ განზოგადებული და, ამავე დროს, ძალზე კონკრეტული სახის შექმნა, რომელიც დემთხვევითა ხალხის წარმოდგენას დიდ პოეტზე. და აი, გ. გეგეჭკორმა მარჯვედ გაართვა თავი ამ ამოცანას, სცენაზე აღსდგა პოეტის სანუკვარი სახე (პიესა მ. მრეველიშვილისა, რეჟ. დ. ალექსიძე). მსახიობმა შექმნა საქართველოს ბედზე მძიმედ ჩაფიქრებული პოეტისა და მოქალაქის სახე; მისი ბარათაშვილი — პოეტური სულის, მძაფრი განცდის, რომანტიკული აღმადრენის ჭაბუკი იყო. გეგეჭკორის ბარათაშვილის წარმატება განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ მსახიობი ღრმად ჩასწვდა რომანტიზმის ზოგად საკაცობრიო იდეებს. ესეც იყო ალბათ ერთ-ერთი მიზეზი იმ გამარჯვებისა, რომელიც წილად ხვდა მსახიობს დონ სეზარ დე-ბაზანის როლში; რომანტიზმის იდეებთან ნაზიარებმა შემოქმედმა შესძლო ესპანელი რაინდის ამბლებული, პეროიკული სულის რომანტიკის ჩვენება, შესძლო ბრწყინვალედ გადმოეცა ეპოქისა და ხალხის დამახასიათებელი თვისებები, თავისუფლებისა და ადამიანური უფლებებისათვის მებ-



გიორგი გეგეჭკორი

გ. გეგეჭკორი
ნახატი ალ. ბანძელაძისა

ჭიკვანი ნაიჭუნოღან ქუნანდელე

თარდებოდა მისი არტისტიზმი. უკვე აქ, ინსტიტუტის კედლებში გიორგი გეგეჭკორი თეატრის საიმედო ძალად შეიქცნა.

ახლა კი უკვე ოცდაორი წელიწადია გიორგი გეგეჭკორის რუსთაველის თეატრში ვხედავთ. პირველი გამარჯვებიდან (გლუმოვი — „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“) დღემდე მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია ორმოცდაათამდე როლს ითვლის. ბევრმა მათგანმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა, ბევრმა კამათიც გამოიწვია, მაგრამ ყოველ როლში იყო აზრი, კონკრეტული და გასაგები, წარმოდგენილი შესატყვისად მოქმენილ ფორმაში, იყო ხასიათის ლოგიკური განვითარება.

ღრმა აზროვნება და ძლიერი გრძნობა, ნათელი, ზუსტი გონება და პოეტური აღმადრენა — ეს ორი თითქოს საპირისპირო თვისება გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებაში ერთ მთლიანობადაა წარმოდგენილი, ესაა მისი მკვეთრი ინდივიდუალური თავისებურება.

მსახიობს არ შეუძლია თამაში, თუ არ იცის გმირის მსოფლმხედველობა, მისი დამოკიდებულება სამყაროსთან, ადამიანებთან; როლზე მუშაობის პროცესში საკმარისი არ არის ცოდნა გმირის აზრთა დინებისა, არამედ ეს აზრები — შენი უნდა ვახდეს. მსახიობისათვის აუცილებელია განუმეორებელ კონკრეტულობაში ხედავდეს — როგორია იგი — მისი გმირი, რათა ჰქონდეს შინაგანი უფლებება მისი სახით წარსდგეს სცენაზე. როცა ასე ხდება, როდესაც როლი გადაიქცევა მსახიობის ახალ სიცოცხლედ, მაშინ ამ შინაგან მხარეს ეძლევა შესატყვისი გარგნული ფორმა—გრძობი, პარკი, ჩაცმულობა. და ყველაფერი ეს აცოცხლებს გმირს; ამიტომ არის, რომ ბარათაშვილთან ერთად განვიცდილი ძველი საქართველოს მძიმე ხვედრს, გვხიბლავს დონ-სეზარის რაინდული შემართება, მსახიობთან ერთად ვეიცხავთ ტიტე ნატუტარს, გვძულს გაიძვერა შუისკი და ა. შ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის როლის განსახიერება დიდად საძნელო იყო. ხალხი პოეტის დიდ სიყვა-

რძოლი, პირდაპირი და უშიშარი, სიცოცხლის დამამკვიდრებელი რაინდის სულისკვება.

ყოველი აქტიორისათვის იდეალი უნდა იყოს მთლიანი სულიერი და გარეგნული გარდასახვა; სწორედ ეს შესძლო მსახიობმა მომდევნო როლებში; მათგან, პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ წამყვანი („ადამიანებო, იყავით ფიზიკა“) და კაცი მანტიით („როცა ასეთი სიყვარულია“). ეს სახეები ერთი და იგივე ფუნქციის მატარებელი არიან, ისინი საინტერესონი არიან სპექტაკლის ცალკეული სცენების შეკვრის თვალსაზრისით; გიორგი გეგეჭკორის სცენურ შესრულებაში აქ ჩვენს წინაშე ორი სხვადასხვა ადამიანი იყო, თავისებური ფსიქიკური თვისებებით, განსხვავებულ მოქმედებით და ქცევებით.

წამყვანის როლში გეგეჭკორი ჩეხი ხალხის ცხოვრებაზე მოგვიხირობს, ისე გვესაუბრება მათ შეუპოვრობაზე, გმირულ თავდადებაზე, როგორც მათი თანამოაზრე, თანამებრძოლი, რომელიც წუთით მოსულა ჩვენთან, რათა გვაუწყოს მათი ამბავი და შემდეგ კვლავ მათთან ერთად განაგრძოს ბრძოლა.

კოპოტის პიესაში გეგეჭკორი — ქეშმარიტების მაძიებელია. მან მსჯავრი უნდა გამოუტანოს ადამიანებს, რომელთაც ანტისაზოგადობრივი საქციელი ჩაიდინეს. ამიტომაც მისი მსაჯული გამოცდილი, ჭკვიანი, პატიოსანი, სამართლიანი ადამიანია. კანონმდებლის მანტია აიძულებს მას იყოს მკაცრი და ობიექტური. მაგრამ გეგეჭკორის მსაჯულს არ შეუძლია კანონებით შემოიფარგლოს, მას არ ძალუძს იყოს ყოველთვის თავშეკავებული, დამშვიდებული და აუღლებელი. წამყვანი იჭრება მოქმედების მსვლელობაში, რადგან საკუთარი სული აახლოებს ამ ადამიანებთან; მსაჯულს აქ განსაკუთრებული მისია აკისრია — მან უნდა გადაწყვიტოს ადამიანთა ბედი, რომლებიც ესოდენ ახლობლნი არიან მისთვის.


ორივე ამ როლის განსახიერება მეტად მნიშვნელოვანი იყო სპექტაკლების საერთო გადაწყვეტილებისათვის, მათი განზოგადებისათვის. მსახიობის თავდაჭერა, უზადო მეტყველება, ავანსცენაზე მოძრა-

ობა, მოქმედების გადმოტანა სიტყვაში და შემდეგ გასაგრძელებლად კვლავ სცენისათვის გადაცემა — არტისტული სიმსუბუქით გამოიჩინოდა. მსახიობმა ხატოვნად, ღრმად და გატაცებით განგაცდევინა თავის გმირთა განცდები, მათი მაღალი ჰუმანიზმი და საბრძოლო პათოსი.

ინტელექტისა და პოეტური განცდის შერწყმა იყო ძირითადი პირობა, რის გამოც რეჟ. მ. თუმანიშვილმა მას თამამდ მიანდო ჰამლეტის როლი. ერთი შეხედვით თითქოს სრულყოფილია გეგეჭკორის მეფისწული. ესაა უაღრესად დახვეწილი ინტელიგენტი, სახის ლამაზი ნაკვთებით და მეტყველი დიდი თვალბეჭით; თავდაჭერაში, მანერებში ტახტის მემკვიდრის სული გამოსჭვივის, მაგრამ ჰამლეტი—გეგეჭკორის ფილოსოფიური ჭკურება, შინაგანი სულიერი ძიებანი სპექტაკლში აღორძინების ეპოქას ვერ გადმოსცდა და ამიტომ ბევრი რამ მაყურებლისათვის სადავო დარჩა.

ახლის ძიებას, ახალი სახეების გამოძერწვას ხელოვნებაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რაც უფრო მჭიდროდ უკავშირდება შემოქმედი ხალხის ცხოვრებას, რაც უფრო ღრმად განიცდის ამა თუ იმ სახეს, მით უფრო ინტენსიურია მისი შემოქმედებითი წვდომა, მით უფრო სრულყოფილია თანამედროვე გმირის ხასიათის მრავალმხრივობის ჩვენება. თანამედროვე გმირის განსახიერების პრობლემა ერთ-ერთი ძირითადია გეგეჭკორის შემოქმედებაში. ლექსო (როზოვის „ხალისიანი მეგობრები“), თომა ჩუკაიძე (გ. კანდელაკის „ერთხელ დახოცილები“), კოტე მათიშვილი (გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მსწავლებელი“), ყიფიანი (როზოვის „ვახშობის წინ“), ვახტანგ ნიჟარაძე (გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილები“)—ყოველივე ზემოთ თქმულის დადასტურებაა. დღეს გიორგი გეგეჭკორი განიცდის იმ შემოქმედებით აღმავლობას, რომელიც საფუძველს გვაძლევს თამამად ვთქვათ: აი დიდი მსახიობი, უდიდესი ენერჯის, ტემპერამენტის, ინტელექტის, სცენური კულტურის მქონე. მაყურებელი კვლავ ბევრს მოელოს მისგან.

ბატა თვალზარალიძე



აქტიუნი

1966. 26 აპრილი. 6 საათი
და 28 წუთი

ტაშენტს ამ დღეს, ამ წუთებში დაატყდა თავს პირველი ძლიერი მიწისძვრა. ქალაქის ქუჩის საათებსაც ამ ციფრებზე შეეყინათ ისრები.

და როდესაც ტაშენტელებმა იმ მოულოდნელი და მძიმე უბედურების შემდეგ ქუჩის საათებს შეხედეს, ერთ-ერთი მათგანი ჩამოსხნეს და მუზეუმში წაიღეს. ეს გაჩერებული საათი აღამიანებს ყოველთვის უჩვენებს იმ სახედისწერს წამებს.

ისრებზეყინული საათი სამუდამოდ დაბინავდა მუზეუმში, კვლავ ამაუზავებელი საათები კი ქუჩებში დარჩნენ და აჩქარებით ითვლიან წუთებს, წამებს, თავგანწირული შრომისა და უფრო ღამაში ტაშენტის მშენებლობის დროს.

მეგზური რუსთაველის ქუჩა

აეროპორტის შენობის წინ გაშლილ მოედანზე გამოვიდა. ქალაქისკენ მიმავალი გზის გასწვრივ გაშენებულ სვეტრში სკამებზე დამეგობრებულნი ადამიანები იდვიძებდნენ. მოედანზე პირველი ავტობუსები გამოჩნდნენ. ერთ-ერთ ავტობუსს ეწერა: აეროპორტი, რუსთაველის ქუჩა...

დაე რუსთაველის ქუჩა იყო ჩემი პირველი მეგზური ტაშენტში!

ავტობუსი მალე გავიდა ქალაქში. ფანჯარასთან ვზივარ, შენობებს გავცქერი. ნანგრევები კი არა, ვერც ერთი გაზარული კედელი ვერ შევნიშნე. რუსთაველის ფართო ქუჩაზე გავიდა ვერც იქ წავაწყდი მიწისძვრის კვალს. შემდეგ ავტობუსი ქალაქის გარეუბანში გავიდა და ისევ უკან მობრუნდა.

85 ათასი ტრაგედია

კვლავ აეროპორტის მოედანზე ვარ. ტაქსების მთელი რემა დგას აეროპორტის შენობის წინ. ერთ მათგანთან მივედი. საჭესთან ახალგაზრდა უზბეკი იჭდა.

— წამიყვანეთ იქ, სადაც მიწისძვრა იყო, — ვთხოვე შოფერს და გვერდით მივუჯექი. მის დაძაბულ სახეზე ღიმილია გადაირბინა. იქნებ ღიმილიც არ იყო და მან უბრალოდ გაიკვირვა ჩემი მარშრუტი.

„ვოლგა“ ტაშენტის ცენტრისაკენ გასრიალდა. და ჩემს გონებაში ბუდეაშლილი კრახანებივით აირივნენ ოფიციალურ ცნობებში ამოკითხული ციფრები. ქალაქმა დაკარგა ორი მილიონი კვადრატული საცხოვრებელი ფართობი.

შოფერს ნელა მიჰყავს მანქანა, ხშირად აჩერებს კიდევც.

აგერ აქ მთელი უდაბნოა, დანგრეული კედლების მტვრით დაფარული. მიწას შერევა კარ-ფანჯრების დაღწეული ჩარჩოები, წითლად მოჩანს აგურის ნატეხები, დილის მზის შუქზე ბრწყინავენ მი-

ნის ნამსხვრევები. მხოლოდ ეს თუ გაფიქრებინებს, რომ აქ სულ სამიოდე თვის წინ იყო ერთმანეთზე მჭიდროდ მიშენებული შენობები, რომ მათს იატაკებზე აკვნები ირწოდნენ და ჰერებში ნათურები ბრდღვიალებდნენ.

შოფერი მანქანიდან გადმოვიდა. რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და შედგა. აქ მდგარა მისი სახლი. იგი ნაფუძარს ჩაყურებდა წარბეგრული და სახე-შეცვლილი... მეტრდიდან მძიმე ოხვრა აღმოხდა.

პარილის იმ დღეს თავისი ტაქსით დაძინებულ ქალაქში დაბრუნდა იგი. დაგვიანებული მგზავრები დაშავდა ქალაქის გაჩირაღდებულ ქუჩებში. დაბრუნდა და რაღაც სიმღერას დღინებდა. უცებ მანქანა მალა შეხტა, თითქოს მიწიდან აფრენა დააპირაო. გაუგონარმა გუგუნმა შეატორტმანა მიწაც და ბერიც. მანქანა ისევ მიწას დაეარცხა, შოფერს საბე ტელიდან გაეშვა. ის-ის იყო მანქანა ტროტუარზე უნდა შევარდნილიყო, რომ კაცმა საბე ისევ მოიგდო ხელში, გაგიუბული მანქანა მოათვინიერა და შეაჩერა. მტვრის სქელი ღრუბელი აზიდულიყო ჩამონგრეული კედლების ზემოთ. ქალების წვილი-კივილია აღესილი ხანჯალივით გაუარა გულში. მანქანიდან გამოვარდა და იმ მტვრეში შევარდა. ერთსართულიანი, პატარა სახლი იყო, მსუბუქი სახურავით. ორივედ წუთის შემდეგ მისი მანქანა საავადმყოფოსკენ მიბქროდა და თან მიმყავდა უცნობი ადამიანები, სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი, მაგრამ საქმაოდ დაშავებულები. მიბქროდა და თან მისდევდა აწიოკებული ქალაქის წვილი, მიბქროდა და ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, მაგრამ გძმობდა რომ რაღაც დიდი უბედურება დაატყდა შობილიყო ქალაქს. ნეტავ რა დღეშია მისი ცოლ-შვილი?

საავადმყოფოდან თავისი სახლისაკენ გაქანდა გოგნებული. იმ რამდენიმე წუთში მის შავ თმებში ნაადრევმა წამთარმა ჩამოთოვა. ცოლს თოთო ბავშვით კარში გამოეწერა. თავზარდაცემული ქალი შუა ქუჩაში იდგა და შიშისაგან ენა ჩავარდნოდა.

ოთხმოცდახუთი ათასი დანგრეული. ბინა — ოთხმოცდახუთი ათასი დიდი თუ მცირე ტრაგედია — ორიოდე წამში მომხდარი, ერთსა და იმავე დროს დატრიალებული.

კარვების ქალაქი ქუჩაში

ისევ მივყვებით ტაშენტის ცენტრს. აქ იყო მიწისძვრის ეპიცენტრიც. მივყვებით ნანგრევებისაკენ უკვე მოსუფთავებულ პატარა უდაბნოებს, ალაგ-ალაგ დარჩენილ ნანგრევებს და კარვების მთელ ლაშქარს.

ჭერ არხად მინახავს ამდენი კარვები. თითქმის ყველაფერი მაჩვენა შოფერმა; ორივენი დავილაღენით. ბოლოს მწერალთა კავშირში მიყვანა ვთხოვე. მწერალთა კავშირი პირველი მისის ქუჩაზე იყო და ახლა არ ვიცი სად იქნებაო, — მიპასუხა.

ძნელია ტაშენტში ძველი მისამართით მიაგნო ვინმეს. ზოგმა უკვე რამდენიმე მისამართი შეიცვალა. ზოგს კი საერთოდ სულ აღარ აქვს მისამართი. მაინც წავიდეთ მისის ქუჩაზე. ჩემს წინ აღმართა დიდი შენობა. აქ ადრე ტაშენტის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ყოფილა. შემდეგ ეს სახლი უზბეკეთის მწერალთა კავშირისა და მისი უფროსების რედაქციებისათვის გადაუციათ.

ვდგავარ და შევეყურებ. ომში მინახავს ასეთი შენობა, ძლიერი დაზოხების შემდეგ კარ-ფანჯრები ჩამოღწეული, კედლებდაზარალი, ჰერჩანგრეული. ვილაცამ სხვა ქუჩა დაგვისახელა. იმ ქუჩაზეც ასეთი სურათი დამხვდა. შემდგომი ძლიერი მიწისძვრის მერე აქედანაც ახარებულყო საუფლო მუზეუმისა. ახლა ნაოვის ქუჩა დაგვისახელეს.

და აი, უკვე ნაოვის ქუჩაზე ვართ. ჩემს გიღს — ტაქსის შოფერს მადლობა გადავუხადე და როცა ფულს ვაძლევდი, იუბერხულა: მეტად ბევრი დაწერა და სტუმარი კაცი ასე როგორ დაგხარჯო.

გულდა, კეთილი კაცი ჩანს რამზატ ფაიზი — მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივანი. ისე შემ-

ხვდა, თითქოს დიდხნის მეგობრები ვყოფილიყავით და როცა კარგად გავუშინარდით ერთმანეთს ვკითხე: როგორ გადაურჩით-მეთქი მიწისძვრას.

სახლი, რომელშიც ფაიზის ოჯახიც ცხოვრობს გადაჩენილა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს ყველაფერს. მიწისძვრა ყველაფერს მიწისძვრაა. რა იცი როდის და რა ძალით დაგატყდება თავს მიწის გულში ჩამჯდარი გველშაპის მრისხანება. კარგად თქვა ერთმა უფროსისტამა: ერთი, თუნდაც სუსტი ბიჭის შემდეგ ელი მეორეს და არ იცი რა ძალისა იქნება იგი. ეს უფრო საშინელია, ვიდრე მოლოდინი ბომსდამშენების მეორე შემოვლისა, ვერ დაემალე მიწისქვეშ, ვერც საკუთარ მეტრს გადააფარებ ბავშვს.

რამზატ ფაიზის ოჯახიც ცის ქვეშ ათენებს ღამეს. სახლში მხოლოდ სტუმრებივით შედიან დღისით.

აქტიუნი დრო

ადამიანები შესევნიან იმ შენობებს, რომელთა შეკეთებაც შეიძლება. კედლებს ამოთლებენ, საბრჭენებს უშენებენ, კარ-ფანჯრებს სხამენ, ახალ სახურავებს უკეთებენ.

ისევ ტაქსში ვჭდები და ტაშენტის ახალშენებლობებისკენ მივუშვრები.

ჩილანზარი, უარა-ყამიში...

აქ არიან მშენებლები ესტონეთიდან, ლიტვიდან, ბელორუსიიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან, მოლდავეთიდან, საქართველოდან, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკიდან.

აქ ყველა რესპუბლიკას ექნება თავისი სახლი, რომლებისთვისაც საშიში არ იქნება ცხრაბალიანი მიწისძვრაც კი. ყოველი რესპუბლიკა თავისი ძალებითა და სახსრებით აშენებს ცალკეულ მიკრორაიონებს, რომლებსაც დაერქმევათ თბილისის, ბაქოს, ლენინგრადის, მოსკოვის, კიევის სახელები.

ამ მშენებლებმა ტაშენტელებს წელს უნდა ჩააბარონ 864 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო მომავალ წელს მილიონ ნახევარი. მართლაც რომ ზღაპრული ციფრებია!

ახლა, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, მაგიდაზე მიდევს გავით „პრავდა ვოსტოკას“ ახალი ნომერი. „საქართველოს საჩუქარი“, ასე ჰქვია წერილს, რომელიც იტყობინება, რომ ქართველმა არქიტექტორებმა შექმნეს ტაშენტის სამხრეთ-დასავლეთის მახვილი — „მეორე უარა-ყამისის“ მშენებლობის პროექტი. ორას ჰექტარზე გაიშლება ეს მშენებლობა. აშენდება მთელი ქალაქი — კინოთეატრებითა და პოლიკლინიკებით, კულტურის სახლითა და საბავშვო დაწესებულებებით, თვრამეტსართულიანი სასტუმროთი და ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლებით.

შევხვდი ახალი ტაშენტის მშენებლებს, შევხვდი და ვესაუბრე, მაგრამ ყველაფერს ამ ერთი ნარკვევით ვერ მოვუყვები მკითხველს.

დრო ჩქარა მიდის. იგი ახლის მშენებელმა ადამიანებმა ააჩქარეს და მთელი დაძაბვით ჩააყენეს თავიანთი კეთილშობილური საქმის სამსახურში.

მიწის გულში ჩამჯდარ გველშაპს თანდათან აკლდება ძალა და უფრო ღრმად მიდის ქვესკნელის წიაღში.

ოფიციალური ცნობა იუწყებოდა: „მიწისძვრების შედარებით დამცხრალ კერას, რომელიც ახლა გაცილებით უფრო ღრმადაა, ვიდრე წინათ, მოქმედების რადიუსი შეუშცირდა“.

სამუდამოდ გაჩერებული საათი მშვიდად ჰკიდი მუზეუმში. ტაშენტში გაშლილ მრავალ ათასობით კარვებიდან სამუზეუმო ექსპონატად აქცევენ უკანასკნელ კარვასაც, რომლიდანაც ოჯახი ახალ ბინაში შევა. მაგრამ მუზეუმში ვერ მოათავსებ უდიდეს ადამიანურ ტკივილებს, ეს ტკივილები უნდა მოაშუშოს დრომ, ამ დროს აჩქარებენ გმირი ტაშენტელები და მათი მრავალრიცხოვანი ძმები და მეგობრები.

თიმიშურაჟ ჯანგულაშვილი
ტაშენტი.



უფრო დაუფიქრი სოცალი

ალ. წულუკიძის დაბადების
50 წლისთავის გამო

ვინც ალექსანდრე წულუკიძეს პირადად იცნობდა, ყველანი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ის აყო ბუნებით უაღრესად მგრძობიარე, უაღრესად კეთილშობილი ადამიანი, ალტურული ძლიერი ნებისყოფით. მისთვის, როგორც ქვეშაობიტი მოაზროვნისა და ფართო გაქანების პოლიტიკური მოღვაწისათვის,

საკვებით უცხო იყო ქედმაღლობა და თავის გამოჩენა. საშინელი სენით იყო შეპყრობილი, მაგრამ მისი სული ვერც ამან გასტეხა და ვერც იმ დროის მძიმე ვითარებამ, რომლის დამსხვრევებზე ოცნებობდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ბავშვობიდანვე ჩაება იგი სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ გამართულ მძაფრ ბრძოლებში და დიდი კვალიც დასტოვა თვითმპყრობელობის ბორკილებსაგან მშრომელი ხალხის გამანათვისებელი მოძრაობის ისტორიაში.

ქართულ ენაზე პოლიტიკური ეკონომიის პირველი მარქსისტული კურსის ავტორი, იგი სასტიკად ებრძოდა იდეურ მოწინააღმდეგეებს, მაგრამ მათთან კამათში არ ჰკარგავდა თავის რაინდულ თვისებებს, თავი მუდამ ღირსეულად ეჭირა, უტყუარი საბუთებით ამარცხებდა მათ და დამაჯერებლად აბათილებდა მათ მცდარ თვალსაზრისს საზოგადოების განვითარების კანონებზე. მშრომელი ხალხისადმი, ყოველივე ადამიანურისადმი სიყვარული განსაზღვრავდა ა. წულუკიძის ხანმოკლე (გარდაიცვალა 29 წლის ასაკში), მაგრამ ლამაზი და შინაარსიანი ცხოვრების აზრს.

ადამიანთა მეგობრობა განუყრელია ხალხთა მეგობრობისაგან, კაცთშორება რეობა და ინტერნაციონალიზმი განუყრელი ცნებებია. ასე იყო ალ. წულუკიძისათვის. როცა პირველი რევოლუციის წინა წლებში ამიერკავკასიის ხალხები ერთსულოვნად დარაზნენ საბრძოლველად, ალ. წულუკიძე აღფრთოვანებით წერდა: „დავდა სასიხარულო დრო, როცა კავკასიაში ეროვნებათა შორის შური და შუღლი მოისპო, მივალწიეთ ისეთ ეამს, როცა ქართველი და სომეხი, რუსი და ებრაელი, თათარი და პოლონელი ძმურად, ამხანაგურად, ხელიხელ ჩაკიდებულნი, ერთი ინტერესით გამსჭვალულნი, საერთო იარაღით ალტურული კავკასიის ყოველ კუთხეში პროლეტარიატის იდეოლოგიას ვსწრავთ და მათ შორის უთანხმოებისა და უნდობლობის პირობები დღითიდღე ისობა“. ალ. წულუკიძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ყველაფერს აკეთებდა, რათა ხალხთა ეს ძმობა კიდევ უფრო განემტკიცებინა.

1897 წელს ა. წულუკიძე, ცოდნის გაღრმავების მიზნით, მოსკოვს მიემგზავრება. აქ მან ორი წელი დაჰყო და ახლო გაეცნო რუსეთის მაშინდელ პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებას, რუსულ კლასიკურ მწერლობას, რომელსაც იგი თავიდანვე დიდად აფასებდა. აღსანიშნავია, რომ ა. წულუკიძეს ლიტერატურის დარგში მოღვაწეობის სურვილი პირველად მოსკოვში აღეძრა. მისი პირველი კრიტიკული წერილი სწორედ იქ დაიწერა. იგი ეხება ლალიონის (გამულაიშვილი) მოთხრობას „ფირალი დავლაძე“. ამ წერილში ა. წულუკიძემ გამოამჟღავნა მხატვრული ნაწარმოების განხილვის შესანიშნავი უნარი. იგი მწერლისაგან, პირველ რიგში, მოითხოვდა სიახლის გრძნობას, ეს კი ხელშეწყობდა იგრძნობოდა „ფირალ დავლაძეში“. სწორედ ამიტომ აძლედა ა. წულუკიძე ამ ნაწარმოებს მაღალ შეფასებას.


ა. წულუკიძის აზრით, და ეს საკვებით სწორი აზრია, მწერალი არა მარტო ასახავს იმას, რასაც არსებულ სინამდვილეში ხედავს, არამედ გამოხატავს თავის აზრსაც ცხოვრებაზე, თავის დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი. ა. წულუკიძეს საგულისხმო და საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული დ. კლდიაშვილის შემოქმედებაზე. თავის წერილში „მკითხველის შენიშვნები“ იგი ეხება ამ სასიქაღლო მწერლის ნაწარმოებს „ქამუშაძის გაჭირება“ და გვიჩვენებს მის მაღალ ღირსებებს; მწერლობა ცხოვრების სარკეაო — ამბობდა ა. წულუკიძე და მწერლისაგან მოითხოვდა სინამდვილის მართალ და ჭეშმარიტ ასახვას. ამ თვალსაზრისით განხილავდა იგი შოი არაგვისპირელის, ევანტე ნინოშვილის, ლალიონის ნაწარმოებებს. მისთვის მხატვრული ნაწარმოები ადამიანის აღზრდის, მისი სულიერი სამყაროს გამდიდრების უძლიერესი წყარო იყო. მწერალი მისთვის, ახლისათვის მებრძოლი იყო და მუდამ აქეთ მოუწოდებდა იგი თავის თანამედროვეებს.

ალექსანდრე წულუკიძე ნამდვილ შემოქმედებითი დავაჯაყების წლებში გარდაიცვალა, მაგრამ მან იმდენი გააკეთა თავისი ხალხისათვის, რომ მას არასოდეს დაივიწყებს მისი მშობლიური საქართველო. მის დაკრძალვას, მიუხედავად ცუდი ამინდისა, ათი ათასზე მეტი კაცი დაესწრო. ეს მარტო დაკრძალვა კი არა, გრანდიოზული დემონსტრაცია იყო, მიმართული მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ვალერიან ჯიბუაძი

წლიანდელი ზაფხულის ამბავს მოგახსენებთ. მცხეთის ჭვრის ხანახვად მინდობა წასვლა. მაშინვე მოვიდნენ საჭირო ავტობუსი. მაგრამ გვიან მივიდი. მანქანა ხალხით გაქვიდილი იყო და უკვე წასვლას აპირებდა; შოფერმა მინც გამიღო კარი და თავის გვერდით დამსვა. უცებ სიცილი შემოიქმემა: ვიღაც ქალი და კაცი ედავებოდნენ ერთი-მეორეს და მგზავრები მათზე იციროდნენ.

- თქვენ ჩემი ადგილიც დაგვიკავებიათ! — მესმოდა ქალის ხმა.
- აგერ, ცოტას ჩავიწვე და დაბრძანდით, ქალბატონო!
- სადა ჩაიწვეთ, ამ სისქე კაცს ორი ადგილიც არ გყოფნით. კაი, კაი, ამ კუთხეში მოვთავსდები. ისე, წინდახედული მოლარე კი ყუილია ავტობუსში ორადგილიან სკამზე, ერთი ბილეთი ყველაზე მსუქანი მგზავრისათვის მიუცია, მეორე — გამხდრისათვის.
- მერე, რა მოხდა, რომ მსუქანი ვარ, — ჩილაპარაკა კაცმა, — ღმერთს ზოგი ასე გაუჩენია, ზოგი ისე...
- არა, რაღა ორივე ერთად მოგვთავება მოლარემ? ალბათ, ისიც იცოდა, რომ შენ ცოლი არა გყავს და მე — ქმარი.
- ვინ მოგახსენათ, რომ ცოლი არა მყავს.
- კოსტუმის სახელი გამოირვეული გაქვთ, დიდი — აგლიქილი, შარვალი — გაუუთოებელი...
- გუშინ გვიან მივიდი სამსახურიდან, ამ დღითაც ადრე წამოვიდი, ცოლი სულაც არაა დამნაშავე.
- ამ, მაშ ასე საქმე? მინც სად მუშაობთ, ასე რომ ჩათვრიბულხართ?
- ახლა ჩემს სამსახურს გადახვდეთ. რა გინდა ქალი ჩემგან?
- ნუ გეშინიათ, შემოწმებთ კი არ მოვდივარ. მიიწით ცოტა იქით...
- ახლა ცოტა თქვენც მიიწით.
- სადა მივიწით, ხელის გულისოდენა ადგილზე ვწვივარ.
- ვუსმენ მათ დავას და ქალის ხმა როგორღაც მეცნობა, თითქოს სადაც გამიგონია ეს გამკენწლავი ხმა; მივიხედე უკან, მაგრამ ავტობუსი ისე იყო ხალხით გაქვიდილი, ვერ დავინახე.
- მანქანა კი მიქჩრის, მგზავრები დროდადრო ისევ იცინიან, ვერც კი გავიგეთ როდის მივიდით ჭვრის მონასტერში.



ესკიზი

შოფერმა მანქანა შეაჩერა თუ არა, მოგვეხმა მანტიტოფონზე ჩაწერილი საგლომბის ტკბილი მელოდია. გამოძახილი შორს მიქონდა მტკვრის ხეობის ნიაგ, და თითქოს მთელი მიდამო სახსე იყო ამ ხმებით.

მართლაც, რა ბევრი რამის მომხსრეა და რა დიდებულება ეს მიდამოები. როგორც ყოველთვის, ტაძარს ურიცხვი სტუმარი სწევია. როგორც ჩვენს ქვეყნის შორეული კუთხეებიდან, ისე უცხოეთიდან ჩამოსული ტურისტები დიდი ინტერესით ათვალთვლებდნენ ჭვრის მონასტერს, საუკუნეთა მანძილზე შედარად რომ უდავს ელვა-ქეჩას, წვიმასა და ქარიშხალს.

ის იყო ტაძრის დათვალთვრებას შევუდექი, რომ ვიდაც მომეხალმა. პირველსავე დანახვაზე ვიცანი — ის ქალი იყო, ავტობუსში რომ ხუმრობდა. ან წილან რამ დამავიწყა ჩემი სკოლის მეგობარი. ისე კი, დიდი ხანი იყო აღარ მენახა. გაღიმებული იდგა, ორ ახალგაზრდაზე მითითებდა და მეუბნებოდა:


- გაიცანით. ჩემი ქალი და სიძე ვახლავთ.
- ბედნიერებას ვისურვებთ. ტკბილად შეაბერდით ერთი-მეორეს. — და ისევ ქალს მივუბრუნდი, — თქვენ როგორ ხართ, თამარ? ჩვენ მგონი ერთი ავტობუსით ვიმგზავრეთ, ოხ, რამდენი გვაციინეთ... ძველებური არ დავვიწყებიათ.
- ზო, ისეთი მსუქანი კაცი იქა ჩემს გვერდით; ღორივით ქმნივდა. შეგატყე, რომ ხუმრობას ვერ იტანდა, თორემ უფრო მეტს გაციინებდით, — ისევ ახალგაზრდებს მიუბრუნდა, — გაიცანით შევიღებო, ეს ჩემი სკოლის მეგობარია. ახალგაზრდებმა ხელი გამომიწოდეს.
- საშა, ბატონო!
- შურა!

ღმერთო ჩემო, როგორ გავიგო რომელია ამათში სიძე და რომელი ბატარაჲ: ორივეს ერთნაირი სპორტული შარვალ-ხალათი, ერთნაირი შავი, წვეტიანი ფეხსაცმელი აცვიათ. თმაც ერთ ზომაზე, კვიცივით შეკრებილი აქვთ. საშა? შურა? სახელებითაც ვერაფერს მისვლები.

მინც დავაკვირდი იმას, ვინც საშად გამაცნო თავი, წედა ტურზე გინგლები შევიწინე, გამეხარა, ვიფიქრე ნამდვილად ესაა-მეთქი სიძე. მხარზე მაგრად დავკარი ხელი და მივმართე:

- ხხა, როგორ გიკითხოთ სიძე ბატონო?
- უფიქ, ეგ სიძე კი არა, ბატარაჲა! — შემომხეხა თამარის ხმა.
- ბატარაჲი სიცილით იგუღებდა, აქაო და ეს რა უცნაური-ვინმე ვნახეთო. მე კი შეცბუნებული, დარცხვნილი გამოვბრუნდი. სულ ჩამწმარდა იმდღევანდელი მოგზაურობა.

ილია ბაბუციძე



მედიცინამ დიდი ხანა გამოარკვია, რომ პაპი-როსის წვევა მრავალ ავადმყოფობას აჩენს. სტატისტიკის მონაცემების მიხედვით პაპიროსის მწვევლთა შორის სიკვდილიანობა უფრო ხშირია, ვიდრე არამწვეველთა შორის. მიუხედავად ამისა, თამბაქოსაც გამოუჩნდა თავისი ადვოკატი.

გიორგი სტეფანეს ძე ილინი კი სულაც არ აპირებდა დამცველის როლში გამოსვლას; პროფესიონათც იგი იურისტი კი არა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომელი.

ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ ილინი მეცნიერებათა ფესვების სისტემის ფიზიოლოგიით დაინტერესდა. მას, გულმოდგინე ექსპერიმენტატორს, არ შეეძლო დათანხმებოდა იმ შეფასებას, რომელიც ფიზიოლოგებმა მეცნიერებათა ფესვებს მისცეს. დიადი ხუროთმოძღვარი — ბუნება ხშირად ძალზე ეკონომიურად წყვეტს მეცნიერებათა ან ცოცხალ არსებათა ამა თუ იმ ორგანოს მიწანშეწონილობის პრობლემას. ძნელი დასაჭერებელია, რომ ბუნებაში მეცნიერებათა ფესვების მძლავრი სისტემა მხოლოდ ნიადაგიდან წყლისა და მინერალური მარილების გამოსაწოვად შექმნა. და ილინიც შეეცადა ბუნების ამ საიდუმლოებაში გარკვეულიყო.

მრავალწლიანმა ცდებმა მისი აზრი დადასტურეს. ფესვთა სისტემა მეცნიერული ორგანიზმის ძალზე სრულყოფილი ქიმიური ლაბორატორია აღმოჩნდა. მასში არის თითქმის ყველა ცნობილი ამინო მჟავა, რომლებიც ცილის შექმნაში მონაწილეობენ; იგი სინთეზს უკეთებს ალკალიიდებსა და სხვა ორგანულ შენაერთებს.

ამ აღმოჩენებმა მეცნიერს საშუალება მისცა სხვა თვალთ შეეხედა თამბაქოსათვისაც. აღმოჩნდა, რომ ალკალიდი ნიკოტინი ფოთლებში კი არ წარმოიქმნება, არამედ ფესვთა სისტემაში და მხოლოდ შემდეგ გადადის მეცნიერებათა მიწისზედა ნაწილში.

იმისათვის, რომ ამ ნივთიერების მოძრაობის გზა გაერკვიათ, თამბაქოს ღეროში შეიყვანეს რადიო-

აქტიური ნიკოტინის დოზები. და აი, მეცნიარის მწიფე თესლებში აღმოაჩინეს „ნიშანდებული“ ალკალიდი. იგი ცილებში იყო თავმოყრილი.

მოსკოველ მეცნიერთა ახალი გამოკვლევების შესახებ აცნობეს ალკალიიდების ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა); ამან დიდი ინტერესი გამოიწვია.

თუ თამბაქოს სხვა მეცნიარის ფესვზე დავამყნობთ, შეიცვლება თუ არა მისი ქიმიური შემადგენლობა? მოახდენს თუ არა დამყნობა გავლენას თამბაქოს ხარისხზე?

გიორგი ილინმა საინტერესო ცდების მთელი სერია ჩაატარა. მან პამიდორზე დამყნო თამბაქო. ბიბრიდები ნორმალურად ვითარდებოდნენ, მხოლოდ ფოთლების მომწიფების დროის თვალსაზრისით, ოდნავ ჩამორჩებოდნენ საკონტროლო მეცნიერებს.

აღმოჩნდა, რომ პამიდორზე დამყნობილ თამბაქოს ფოთლებსა და ღეროებში ნიკოტინი აღარ არის, მაგრამ ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია სხვა აზოტოვანი შენაერთების შემადგენლობაზე.

მაშინ მეცნიერებს ადგილები შეუცვალეს: თამბაქოზე დამყნეს პამიდორი. პამიდორის ნაყოფსა და ფოთლებში თითქმის იმდენივე ნიკოტინი აღმოაჩინეს, რამდენიც თამბაქოს საკონტროლო ბუჩქებში.

ნიკოტინიანი პამიდორის და უნიკოტინო თამბაქოს ფოთლები გაახმეს და დეგუსტაცია მოახდინეს. გემოს მხრივ ნიკოტინიანი პამიდორს ბევრი არაფერი ქონდა საერთო თამბაქოსთან. პამიდორზე დამყნობილ თამბაქო ძალზე მსუბუქი აღმოჩნდა, მაგრამ ნიკოტინთან ერთად დამახასიათებელი სურნელებაც დაჰქარგა.

შემდგომმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სურნელოვანი ნივთიერება — კუმარინიც უპირატესად ფესვთა სისტემაში წარმოიქმნება.

აქედან ცხადია, თამბაქოს მეგვიდრეობითობა სასურველი გზით რომ წარვმართოთ, ფესვთა სის-

ტემაში თვით ნივთიერებათა ცვლის შეცვლის ისეთი წესები უნდა გამოვყენოთ, რომლებიც ნიკოტინის ბიოსინთეზზე მოახდენს გავლენას.

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ილინისა და მისი კოლეგების თეორიული დასკვნები გამოიყენეს ბულგარელმა მეცნიერებმა და საინტერესო გამოკვლევები ჩაატარეს. მათ შეძლეს შეექმნათ ისეთი თამბაქო, რომელიც თავის დადებით თვისებებს ინარჩუნებს და, ამავ დროს... სამკურნალო თვისებებიცა აქვს.

ბულგარეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის მეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებმა სათბურებში დათესეს სარეველა ღემის თესლი, რომლის ფესვების შემადგენლობაში სამკურნალო საშუალება — ატროპინი შედის. როცა ამ მეცნიერებმა თხუთმეტ-ოც სანტიმეტრს მიაღწიეს, მათზე თამბაქოს ნერგები დამყნეს. ერთ კვირაში მეცნიერები ერთმანეთს შეეწარადა.

თამბაქოს ახალი ჯიშის ქიმიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ფოთლებში თითქმის სავსებით გაქრა ნიკოტინი და მის ნაცვლად 0,10-0,12 პროცენტი ატროპინი წარმოიქმნა. შემდგომი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ამ თამბაქოს სამკურნალო თვისებები აქვს ისეთ დაავადებათა წინააღმდეგ, როგორიცაა ასტმა, კუჭის წყლული, მაღალი წნევა, გულის დაავადებანი.

პლავდის თამბაქოს ფაბრიკაში უკვე დამზადდა სიგარეტი „ატროპინა“ პირველი პარტია.

მაშ ასე, მოსწიეთ ეს ახლებური სიგარეტი, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

ობთა ახლო ნაცნობების მოგონებებს, თუ პირადად ნახულს; ყოველივე ეს კიდევ რამდენიმე შტრიხია, რომლებიც ავტორს ამ პორტრეტების უფრო თვალსაჩინო წარმოსახვისა და წარმოდგენისათვის გამოუყენებია. მთავარი კი ის არის, რომ ეთერ ბუგუშვილი, მოგვიტყვოს რა ჩვენი გამოჩენილი მსახიობების შემოქმედებაზე, ამავე დროს, აღძრავს თანამედროვე თეატრის აქტუალ კ პრობლემებს და ნათლად გვიჩვენებს, რომ მსახიობი არა მხოლოდ დრამატურგისა და რეჟისორის აზრის ინტერპრეტატორია, არამედ უპირველესად, დამოუკიდებელი ხელოვანი. რომელსაც აქვს თავისი იდეურ-ეთიკური პრინციპები, ინდივიდუალური სახე და უშუალო, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უნარი მაყურებელზე შემოქმედებისა. ამ თვალსაზრისით იხილავს ავტორი შემოთავაზებული მსახიობთა შემოქმედებას, მათ მიერ შექმნილ სახეებს, რომლებიც ჩვენი თეატრალური ხელოვნების საგანძურს განეკუთვნება.

დღეს ქართულ თეატრს ჰყავს მსახიობები, რომლებიც წინ სწევენ არა მარტო მშობლიური სცენის, არამედ საერთოდ მსოფლიო თეატრალური ხელოვნების განვითარებას, ცოცხალ ნაკადად შეაქვთ მასში განუთქმობელი ქართული კოლორიტი; და რა-ოღენ საწყენია, რომ ესოდენ ცოტა იწერება მათს შესახებ, მათი შემოქმედებითი სპეციფიკის შესახებ. ასეთ ვითარებაში სარცენიო წიგნი, დაწერილი საგნის ცოდნით და ფაქიზი გემოვნებით, მართლაც სასიხარულო მოვლენას წარმოადგენს. აქ ბევრი რამ დაინტერესებს მკითხველს როგორც ქართული თეატრის ახლო ისტორიიდან, ისე დღევანდელი ვითარებიდან. პორტრეტები დაწერილია ისე, რომ თქვენ წინ ცოცხლად დგებიან იდეთიც, კლეოპატრაც, ლუარსაბიც, კლავდიუსიც, ოიდიპოსიც და კიდევ მრავალი სახე, და ჩვენ უფრო ახლოს ვეცნობით მათს შემქმნელებსაც, მათი სცენური ძიების და გამარჯვების გზებს.

თინა ჩიგოვანიძე

სასიუჟაო და კოლაჟი



ჩვენი თეატრალური ლიტერატურა არც ისე მდიდარია, თუმცა ქართულ თეატრს დიდი წარსული და შესანიშნავი აწმყო აქვს. დროდადრო თუ გამოჩნდება ხოლმე წიგნის ბაზარზე ამა თუ იმ მსახიობის ან რეჟისორის მემუარები, რომლებსაც მკითხველი ღრმა ინტერესით კითხულობს. ეთერ ბუგუშვილის წიგნი „თეატრალური პორტრეტები“ სულ სხვა სფეროს განეკუთვნება. ესაა კრიტიკული ანალიზი იმ შემოქმედებითი სახეებისა, რომლებიც წლების მანძილზე შექმნეს ჩვენმა მსახიობებმა (ვ. ანჯაფარიძე, ვ. გომიშვილი, ა. ვასაძე, ს. ჯაქარიძე, პ. კობახიძე, ა. ხორავა, ვ. ჭაბუკიანი, თ. ჭავჭავაძე); ესაა შემოქმედებითი პორტრეტები, სადაც

დახასიათებულია ქართული სცენის დიდოსტატთა მხატვრული თავისებურებანი, მათი ძიება, გახსნილია საიდუმლო იმ გამარჯვებისა, რომელსაც ისინი სცენაზე აღწევენ. ამასთან, საინტერესოა, იმის აღნიშვნაც, რომ ავტორი გამოყოფს არა მშრალ, ე. წ. „აკადემიურ“ სტილს, არამედ თავისი დებულებების დახადასტურებლად თუ საილუსტრაციოდ ხშირად იყენებს მაგალითებს და ცალკეულ შემთხვევებს ყოველდღიური ცხოვრებიდან, რაც წიგნს მეტ სიცოცხლესა და ინტერესს აძლევს. ასე მაგალითად, როცა იგი პიერ კობახიძის უჩვეულო გარდასახვის ნიჭზე ლაპარაკობს, იხსენებს პიერთან ერთად რომში მოგზაურობის ამბებს, იმოწმებს მსახი-



ქართველი მოცეკვავეები
სანდერლენდის სტადიონზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ძირითადად, ეს ასეც ხდება). ფეხბურთის სანახაობის მხარეს და თამაშის კლასს აქვს თავისი ადგილი და მნიშვნელობა.

ამის აღნიშვნა არ არის ახლა ზედმეტი, როცა მსოფლიო ჩემპიონატი დიდი ხანია დამთავრდა და მისგან გამოწვეული მდღევარებაც დაცხრა. მაგრამ ამ წერილში ჩვენ არ ვაპირებთ ჩემპიონატის შედეგების დაწვრილებით ანალიზს. მთავარი ის არის, რომ საბჭოთა ნაკრებმა გუნდმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია და მტკიცედ გავიდა საერთაშორისო ფეხბურთის დიდ ასპარეზზე. ჩვენს ფეხბურთელებს ახლა უველა სერიოზულ ძალად მიიჩნევენ და უველა აფასებენ. არ დამავიწყდება, უნგრეთთან თამაშის წინ, ჩვენი სასტუმროს ვესტიბულში სახელგანთქმული მწვრთნელი ელენიო ერერა შეგვხვდა. ჩვენ მას ვკითხეთ, თქვენი აზრით ალბათ დღეს უნგრეთი მოიგებსო. მან პროტესტის ნიშნად თავი გააქნია და თქვა — „ნოო, რუსია“, და ანგარიში 2:1 ხელის თითებით გვანიშნა. მისი წინასწარმეტყველება ახლა. მოგეხსენებათ, ერერას არ უუვარს ჰაერზე ლაპარაკი.

საბჭოთა გუნდმა ქვეჯგუფში გამარჯვება იოლად გაინაღდა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს იყო ძლიერი ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვება. ჩვენების თამაშმა ჩილიელებთან ერთგვარად გულიც კი გავვიტეხა. დასამშვიდებლად ისლა დაგვრჩენოდა, რომ ჩილის წინააღმდეგ თითქმის მთლიანად მერორე შემადგენლობა იყო გამოყვანილი.

და აი, უნგრეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ ა. სტაროსტინმა განაცხადა: სატურნირო ბრძოლა გათავდა. იქ კიდევ შეიძლება ეშმაკობა, უაიმზე თამაში და რალაცის განაგარიშება. ნამდვილი ჩემპიონატი ახლა იწყება, რადგან ამ ეტაპზე უკვე აღარ არსებობს უკანდასახევი გზა. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენებმა მოიგონ, მაგრამ... მან მხრები აიწურა.

არა მარტო ა. სტაროსტინს, ბევრს და მათ შორის ამ სტრიქონების ავტორსაც არ ჰქონდა საბჭოთა ნაკრების გამარჯვების იმედი. ანდა რა იმედი უნდა ჰქონოდა, როცა მეტიმეტად უსუსურად გამოიყურებოდნენ ხანიშევსკი და მალაფიევი — ნაკრების მთავარი არტილერია.

ამ წარმატებას ჩვენ ისევ მცველებიხა და მეკარეების შესანიშნავ თამაშს უნდა ვუმაღლოდეთ. და მაინც უნგრეთს მოვუგეთ. ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა ნაკრებმა გადალახა ის ზღუდე, რაც დაუძლეველი აღმოჩნდა წინა ორ ჩემპიონატზე. უნგრელები თავიდანვე რატომღაც შეშინებულები გამოვიდნენ მოედანზე. ჭერ კიდევ თამაშის წინ, ინტერვიუს დროს განაცხადეს, გვიჩვენია ისევ ბრაზილიას ვხვდებოდეთ, ვიდრე საბჭოთა კავშირსო; მართლაც, თუ გადავხედავდით მათ ორთა ბრძოლების წარბულს, იგი საბჭოთა ფეხბურთელების დამაჯერებელი უპირატესობით გამოიყურებოდა: სამი მოგება, ორი ფრე, ერთი წაგება. ბურთების შეფარდება — 9:8.

უნგრელები აშკარად დელავდნენ. ჭერ კიდევ თამაშის დაწყებამდე ბორის პაიჭაძემ გვითხრა — დააკვირდით, ალბერტი კოკლოხსო. იმ დღეს ალბერტმა მართლაც ვერ ითამაშა ისე, როგორც მას

საერთოდ სჩვევია. ბურთის ტარებას ერიდებოდა, ეტუბოდა მტკივანი ფეხს აწუხებდა. ამ მდღევარებას იხიც დაემატა, რომ თავიდანვე უნგრელთა მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და ჩისლენკომ ანგარიში გახსნა.

როცა მეორე ტაიმის დასაწყისში ჩვენებმა ანგარიში გაწარდეს, თითქოს მაშინ დამშვიდდნენ უნგრელები. დაიწყო ხანგრძლივი შტურმი. საბჭოთა ფეხბურთელები საკუთარ საქარიმო მოედანს მიაჭაჭვეს. უნგრელებმა აჩვენეს შესანიშნავი, გაზრებული და მაღალტექნიკური ფეხბურთი. იყო მომენტი, როცა ანგარიშის გათანაბრებას წინ აღარაფერი უდგა, მაგრამ... ფარკაშმა მოხერხა ისეთი ბურთის გაფუჭება, რომელსაც უკვლად უკუდმართი ფანტაზიის პატრონიც კი ვერ წარმოიდგენდა.

საერთოდ კი, საბჭოთა ნაკრებმა დიდ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო ასპარეზზე. მეოთხე ადგილი ეს ბევრი გუნდის ოცნება იყო.

მახსოვს, იტალიის ნაკრებთან თამაშის შემდეგ, როცა კოტე მახარაძემ ჩვეულებისამებრ სპეციალისტებს სთხოვა ნიშნებით შეეფასებინათ საბჭოთა ფეხბურთელების თამაში, ა. სტაროსტინმა ვორონინს ხუთიანი დაუწერა, თუმცა ვორონინს იმ დღეს მაინცდამაინც არ უთამაშნია ძალიან კარგად.

— კარგი, მაგრამ, — ვკითხეთ ჩვენ, — ვორონინს ერგებოდა დღევანდელ თამაშისათვის ხუთიანი?



— იცით, რა, მეგობრებო! ვორონინმა დღეს ვერ ითამაშა ხუთიანზე, მაგრამ როცა მას ვუყურებდი, მიხაროდა, რომ მოედანზე იყო ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი. სლავა მეტრეველი რომ გამოეყვანათ, მაშინ იქნებოდა ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი. თუ მათ მიხეილ მესხც დაემატებოდა, მაშინ უკვე სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი იქნებოდა და თქვენ იცით, რას ნიშნავს, როცა მოედანზე სამი მაღალი კლასის ფეხბურთელია?

იგი არ სცდებოდა. სულ სხვაა შედეგი, სულ სხვა კლასი. რასაკვირველია, იმაზე კარგი არაფერია, როცა შედეგი კლასის სათანადო დონეზე დგას

ე ის ე ბ ი ო .



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



Handwritten signature or name in the top right area.

ბასკეთი

მარგონა მინგუბი ბილბაო

მარგონა, ბავშვობის ერთი ნაწილი ბასკეთში გავატარე, მაგრამ ბასკების შესახებ ბევრი რამ დავიწყებული მქონდა, ბევრი რამ სხვაგვარად მეჩვენებოდა. ბასკური ენაც თანდათან დამავიწყდა, ცალკეული სიტყვები მაგონდებოდა მხოლოდ. ეს არც გასაკვირია, ამდენი ხნის განმავლობაში ჩემს ენაზე არავის დავლაპარაკებდვარ, არც ერთი ბასკური წიგნი არ მინახავს.

ამ ათიოდე წლის წინათ, ქვისზეთის მწერალთა სახლში პროფ. შოთა ძიძიგურმა იმპროვიზებული ლექცია წაგვიკითხა ბასკური და ქართული ენების ურთიერთობის შესახებ. ლექცია-საუბრის მიზეზი ჩემი ბასკობა გახლდათ. შემდეგ გადავიკითხე ნიკო მარის წიგნი „პირინეის გურიაში“. დროდადრო ჩვენს პრესაში გაივლებოდა ცალკეული წერილები ბასკების შესახებ. მაგრამ წერილების ავტორები საფრანგეთის ბასკებთან ყოფნის შთაბეჭდილებებს გვთავაზობდნენ. ბასკების დედა-სამშობლოში არც ერთი არ ყოფილა. ამ მხრივ პირველი მერცხალი „ნედელიაში“ გამოქვეყნებული ა. კიკნაძის საინტერესო წერილი იყო, რომელმაც ჩვენში ახეთი დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ქართულ პრესაში ბევრი წერილი დაიწერა, სადაც, ზოგჯერ, უურმოკრული და მართალი, ფანტაზია და ბიპოტეზა ერთ-

მანეთში იყო არეული. ბოლოს, ალბათ, ყველას განსოვთ იმავე „ნედელიაში“ ა. კიკნაძის საუბარი დოლორეს იბარურთან და, რა გასაკვირია, საქართველოდან ჩასული, ქართველთა რძალი, ამ საკითხითაც რომ დავინტერესებულიყავი. მე, რასაკვირველია, არც ამ საქმის სპეციალისტი ვარ, არც სათანადო ცოდნა გამაჩნია, არც რაიმე პრეტენზიას ვაცხადებ. მე მხოლოდ ფაქტებს აღწერი იხე, როგორც ისინი სინამდვილეში იყვნენ. ქვემოთ აღწერილი შთაბეჭდილებანი შემდეგ დალაგდნენ, თორემ, პირველ დღეებში, ჩემიანებთან შეხვედრით გამოწვეული სიხარულისა და განცდების ორომტრიალში, ეს ამბები აღარც კი მაგონდებოდა.

თანამედროვე ქალაქი ნაკლებად გამოდგება ამა თუ იმ ქვეყნის ეთნოგრაფიული, ყოფაცხოვრებითი თუ სხვა დამახასიათებელი მხარეების განაცნობად. თანამედროვე ქალაქი ევროპულ ყაიდაზე ვითარდება. მაგონდება, ამ სამიოდე წლის წინ ქართველ მწერლებთან სტუმრად იყო ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ ბრინი. ჩემი ქმარი უწყევდა მასხინძლობას. ერთი-ორჯერ მეც ვახლდი. თბილისში დავატარებდით, ე. წ. „კლასიკური“ მარშრუტით. ორთაქალა, მეტეხი, „ქართველის დედა“, სანაპირო, სპორტის სასახლე, საბურთალო, ვაკე, რუსთაველის პროსპექტი, ფუნქიულორი. მაგრამ, მახსოვს

სულ სხვა ინტერესით ათვალიერებდა იგი სოფელ მუხრანსა და მის მიდამოებს, ვლებების სახლებსა და ეზოებს, ზვრებსა და ხეხილის ბაღებს...

ბილბაოში ამ მხრივ ჩემი ყურადღება მხოლოდ ორად ორმა გარემოებამ მიიპყრო: პირველი ეს იქაური ფუნქიულორია, რომელსაც „არჩანდა“ ეწოდება, და ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმორ-რესტორანი, რომელსაც „იბერია“ ჰქვია.

„არჩანდა“ ბილბაოს მთაწმინდა. იგი ქალაქს თავზე გადაჰყურებს და როდესაც ბურუსიან ამინდში ატლანტის ოკეანიდან დაძრული ღრუბლები ქალაქს თავზე ტყვასავით დააწვეიან ხოლმე, არჩანდა ნამდვილად არა ჩანს.

ბასკეთს ბასკურად ეუსკადი ჰქვია, ბასკებს — ეუსკალდუნაკი. ესპანური ბასკეთი სამი პროვინციისაგან შედგება: ბისკაია — მთავარი ქალაქია ბილბაო; გიპუსკუა. მთავარი ქალაქი სან-სებასტიანი და ალავა, მთავარი ქალაქია ტოლოსა.

ბასკური ენა, როგორც ცნობილია, სრულიად განსხვავდება ესპანურისაგან. ეს ჭერ კიდევ მეთქვამებტე საუკუნის ესპანელმა მწერალმა ლუის ველეს დე გვიარამაც აღნიშნა, რომელიც თავის საქვეყნოდ ცნობილ ნოველაში „კოკლი ეშმაკი“ წერდა: „გაუგებარი არ ღარჩეს, ვითარცა ბასკური კილოთი გამოთქმის დროს ხდება“.

* იხ. „დროშა“, № 8, 9, 10.

ჯაბა ასათიანი

ნახატი თ. სამსონაძისა



წლის უკანასკნელი ჯაბა

სადარბაზოსთან დათოვლილი, მალაყელიანი ჩექმები დაიბკრტყა და კიბეს მიიმედ აუყვა.

მესამე სართულის მოედანზე, მარცხნივ, კარზე დამაგრებულ ლილაკს თითი მიაჭირა. ზარმა სიღრმეში გაიწკარუნა და დადუმდა.

კარს იქით, ნაბიჯების ხმა მოისმა.

კაცი გამოერკვა, კარს მოშორდა და კედელს აეკრა. თითქოს ახლად მიხვდა — სად იყო. უცებ აზრმაც კი გაუელვა კიბე ჩაერბინა და იქაურობას გაცლოდა. მაგრამ უკვე გვიან იყო.

კარი უერთამდე ღია იყო და იქ, ის იდგა. შევეულად დაკიდებულბო, მტვრიანი ნათურა ფერმკრთალად ანათებდა. კაცი გარკვევით ვერ არჩევდა მის სახეს.

რამდენიმე ხანს ორივენი იდგნენ და უხმოლ შეპყურებდნენ ერთმანეთს.

— შემოდი, — თქვა ბოლოს ქალმა, რაღაც დაგუდული ხმით და ოთახში შებრუნდა.

კაცი კედელს მოშორდა. კარებთან დაფენილ ტილოზე ფეხი გაიწმინდა, ქალს ოთახში შეპყვა.

ოთახში უხერხული სიჩუმე იდგა. კაცს ტყავის პალტო გაეხადა და ხელში ეჭირა. ტყავიდან, დამღნარი თოვლის წვეთები იატაკზე ტყაპუნით ეცემოდა. ქალი ლოჯინს ასწორებდა — ჩამძინებოდა.

— რას დგებარ, დაჭექი, — თქვა მერე ქალმა. კაცს პალტო გამოართვა და დერეფანში გავიდა.

კაცი ფანჯარასთან მივიდა. ფარდა გადასწია და ქუჩაში გაიხედა. თოვდი. თოვლი ნელ-ნელა ყველაფერს ფარავდა. ქუჩის ფარის ქვეშ, სიფრიფანა ფანტელები ქინქვლებივით ირეოდნენ.

ქუჩა დაცარიელებული იყო. მხოლოდ ხანდახან, კენტად თუ გამორჩნდებოდა ვინმე და ისიც ჩქარი ნაბიჯით მალე თვალს მიეფარებოდა. ყველა იჩქაროდა. ყველა თავისი გზით...

ბასკები ერთმანეთს რომ შეხვდებიან, აუცილებლად ბასკურად ლაპარაკობენ. როგორ სწყინდათ ახლად გაცნობილ მეგობრებს, როდესაც გაიგებდნენ, რომ მე ეუსკერა არ ვიცი. წარმოიდგინეთ, ცოტ-ცოტაობით ბასკურად ენა გავიტყვებ, ბევრი რამ გამახსენდა, ბევრი ახალი შევისწავლე, მაგრამ, რასაკვირველია, მე ისე მცირე ხნით ვიყავი ბასკეთში, რომ ამ დროის განმავლობაში შეუძლებელია ენა თუნდაც გაიხსენო...

ბასკურ წიგნებს დავეწაფე. 1989 წლის შემდეგ ეს წიგნები იშვიათად გამოდის. მხოლოდ უკანასკნელ წლებში გამოჩენილა წიგნის ბაზარზე ბასკური ლიტერატურა. ბასკური პერიოდიკა ეს-ესაა ფეხს იკიდებს.

აი, ხელთ ბასკური ენის სახელმძღვანელო მიიქრავს. გარეუდაზე ესპანურად აწერია: „ვისწავლოთ ბასკური, მსოფლიოში ყველაზე უძველესი ენა“. ვშლი და ვკითხულობ: ბასკურ ანბანში 26 ასო ყოფილა. აგერ ბასკურ-ესპანური ლექსიკონიც... რამდენი ნაცნობი სიტყვა მხვდება, თითქოს ქართულ წიგნს ვკითხულობდე: აღისკიდე, აგერკარი, აგურ, ვალიო იცან, ბურუსი, ეგოსკარი, ვაცთა, კანდელა, კარია, კატუ, კიდე, მამუ, მანდატური, უკან, ურდური, ცოლი, ცოცო, ცური. კაცს ბასკურად გიცონა ჰქვია.

* * *

ტრადიციულად ბასკები ყოველწლიურად მაისში ქალაქ გერნიკაში იკრიბებიან; ეს მათი წმინდა ქალაქია, სადაც უზარმაზარი მუხა დგას, რომლის ასაკი საუკუნეებს ითვლის. მუხის ტანი შუშაშია ჩასმული. მის საპატრივცილოდ დიდი დღესასწაული იმართება. ბასკების ემბლემაც გერნიკას მუხაა. დღესასწაულს ბასკები თავიანთი ინტერესებისათვის იყენებენ, — მოითხოვენ ავტონომიას, ეროვნულ თავისუფლებას.

სამწუხაროდ, ესპანეთში რუსული პრესა არ მოდის, ამიტომ იქ არაფერი იცოდნენ უკანასკნელ დროს ჩვენს პრესაში ბასკებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ გამოქვეყნებული წერილების გამო. მე ამ საკითხზე ბილბაოში ორი ვიზიტი მქონდა.

პირველად ბასკური ენის სპეციალისტს ვესტუმრე. იგი რომელიღაც ქარხანაში ლაბორანტად მუშაობს. მისი მთავარი პროფესია, ბასკური ენა, მეორეხარისხოვანი გამხდარა, რადგან ამჟამად ვასაქანი არა აქვს. იგი ბასკური ლიტერატურის ისტორიის შესახებ მელაპარაკა. მითხრა, რომ ბასკური დამწერლობა მე-14 საუკუნის ბოლოსა და მე-15 საუკუნის დასაწყისში გაჩენილა. პირველ ხანებში ბასკურ ზღაპრებს, ლეგენდებს, ანდაზებსა და ზეპირსიტყვიერებას აქვეყნებდნენ. მეცხრამეტე საუკუნეში ბასკებს შესანიშნავი პოეტები ჰყავდათ: იპირაგირე, ვილიჩი, ეტარონი და პროზაიკოსი ჩაო; ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისში დიდი პოეტი არეე ი ბეიტია და პროზაიკოსი დომინგო დე აგირე. ამჟამად ბასკი მწერლები ესპანურად წერენ, რადგან ბასკურ წიგნებს გამომცემელი არა ჰყავთ. რაც შეეხება ბასკურისა და ქართული ენების ურთიერთობის საკითხს, მან ამის შესახებ სიტყვა-სიტყვით ასე მითხრა:

— ჩვენ იმდენად შორი შორსა ვართ ერთმანეთისაგან, იმდენად უცნობი ვართ ერთმანეთისათვის, რომ ძნელია რაიმეს თქმა. ჯერ კომპეტენტური სამეცნიერო ექსპედიციები ჩვენს შორის არ ყოფილა. მართალია, ერთგვარი ცდები ჩაუტარებიათ, მაგრამ არავის სერიოზულად, მეცნიერული გულდასმით ამ საკითხზე დიდხანს არ უმუშავნია. ზოგადი, ურუმოკრული ამბებისგან ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა, მეცნიერებას ახალს არაფერს შეძენდა. მერე ჩვენ, პირინეის ბასკებსა და კავკასიის ქართველებს (დავუშვათ, ოდენდაც ერთად რომ ვყოფილიყავით) იმდენი საუკუნეები გვაშორებენ, რომ მათი გადალახვა შორეულზე შორეულ პერსპექტივად მესახება. არ ვიცი, თქვენთან თუ ვინმემ იცის ბასკური, ჩვენთან კი ერთი ქართული სიტყვაც არ გამოიგია და ქართული ანბანი თვალთ არ მინახავს...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ოპარ შეპათავა



გამოცემა

ღამით მოვიდა წვიმა,
ხეებს შეება ქარი,
ელვა — გამტყდარი შუბი —
ზღვაში ჩავარდა ტარიო.

მეხთატეხაში ზოგჯერ
მესმოდა პალმის კვნესა.
სიუხვე ფერთა, ხმათა
ზღვასაც ჰქონია წესად.

გათენდა, შეწყდა წვიმა,
ჩაღვა აშარი ქარი,
მშემ უკუაგლო ჩიქურ
ღრუბლის ურიცხვი ჭარი.

მერე ჩაყარა ზღვაში
სხივები — ოქროს თმები,
ზღვა იქცა სარკედ, უმაღ
შიგ ჩაპირქვავდნენ მთები.

მთებს თუ არა აქვთ გული,
მთებს თუ არ სცივთ, მაშინ
რა აკანკალებს იმათ
ჩრდილებს, ჩაფენილს ზღვაში?!

წელან, კაციც ამ ქუჩით მოდიოდა. ქუჩა სავეს იყო მგზავრებით და ყველა იჩქაროდა. ყველას ერთი სული ჰქონდა დროზე მისულიყო შინ. ყოველი წესიერი კაცი, ახალწელს ხომ საკუთარ ქერქვეშ ხვდება.

კაცი ქუჩაზე მოდიოდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყველას ხელს უშლიდა. ყველას აწუხებდა, ყველას ფეხებში ედებოდა.

კაცი ქუჩაზე მოდიოდა, გარშემო ყველა იჩქაროდა. ის კი, მოდიოდა ნელა, ხშირად ჩერდებოდა, თითქოს სულს ითქვამდა. მერე ისევ მოდიოდა. მოდიოდა და არც კი იცოდა, მიიღებდნენ თუ არა.

— წავალ, ყავას მოვხარშავ, — მოესმა ზურგს უკან.

კაცი გამოერკვა. ნელა შემობრუნდა. ქალს თვალი შეასწრო, სამზარეულოში შედიოდა.

უცებ კაცს მოეჩვენა, რომ არაფერი მომხდარა. არაფერი არ შეცვლილა. იგი არსად არ წასულა. მას არ მიუტოვებია არც თენგო, არც ლელა... აი, ეს წუთია მივლინებიდან დაბრუნდა. ლელა ჩვეულებისამებრ ყავას ხარშავს. მერე მაგიდასთან დასხდებიან, დიდგამენ პატარა ფინჯნებით ყავას, ლელა ნიკაპქვეშ ამოიწყობს ხელებს. მერე იგი ილაპარაკებს ძალიან ბევრს, ილაპარაკებს ხმა-მალა. მოუყვება ლელას მივლინებაში გატარებულ დღეებზე. ეტყვის, რომ ძალიან მოენატრა, მოენატრა თენგო. ლელა კი ასეთ დროს გაუთავებლად იღიმება. ღიმილი კი მის ფიქრიან თვალებს ზღაპრულ სილამაზეს მატებს.

— ბავშვი, სად არის! — იკითხა ხმაშალა კაცმა.

— თენგო სოფელშია, დედამ წაიყვანა! — უპასუხა სამზარეულოდან ქალის ხმამ.

კაცს თავბრუ დაეხვა. — ლელას დედა ბავშვობაშივე მოუტყვია. ლელას არც კი ახსოვდა წესიერად დედა.

...აგერ სამი წელია, სოფელში არ ჩასულა — ფიქრობდა კაცი — არ ჩაუკითხავს დედისათვის. ჩავსვლბოდა კი? როგორ უნდა შეეხება, ყოველთვის უსაყვედურო, მზრუნველი თვალებისათვის... ახლა სოფელშიც თოვს. მერე რა ბარაქინი თოვა იცის. ნეტა თენგოს თუ აცვია თბილად? არ გაცივდეს ბავ-

შვი, თორემ ისეთი მიზეზიანები არიან, ჩემ მტერს. მერე გაწყდა მაღაზიები? აი ხვალვე, ლელასთან ერთად დაივლიან მაღაზიებს. მერე ვერის ხილთან, ავტობუსში ჩასხდებიან. სულ რაღაც საათნახევარში კი ავტობუსი სოფლის ორ-ლობეში გაჩერდება. გზა ხომ მათ კარებწინაა გაჭრილი... კაცს ნაბიჯების ხმა შემოესმა. ფიქრებიდან გამოერკვა. ოთახში ქალი შემოვიდა. კაცი წამოდგა და მაგიდასთან დაჯდა.

ქალი ბუფეტისაგან პატარა ფინჯნებს ალაგებდა და მაგიდაზე აწყობდა. კაცი მის ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა.

— სულ არ შეცვლილა, — ფიქრობდა კაცი, — ოდნავ დასრულებულა მხოლოდ. უხდება კიდევ, ნეტა რატომ არ აცვია ცისფერი სვიტრი? როგორ უხდებოდა ლელას ცისფერი სვიტრი. ეჰ, ალბათ დაძველდა. გახუნდებოდა. ჰოდა, ხვალვე ერთად ამოარჩევენ. ზუსტად ისეთს, იმაზე უკეთესს... ქალი ერთი ციქნა ფინჯნებში ყავას ასხამდა. იგი სულ ახლოს იდგა ვაცთან. სახეზე ნათურის შუქი ბრტყლად ეცემოდა და კაცი სახეში შეჰყურებდა. იგი გარკვევით ხედავდა ქალის სახეზე ყოველ ნაკვთს.

უცებ კაცი დაიძაბა, საფეთქლები დაებერა. ქალს სახე აარიდა.

— მე არავის არ ველოდი, — თქვა ქალმა, თითქოს მცირედისათვის ბოღმის იხდიდა.

კაცს ხმა არ გაუღია. თავი დაეხარა, შუბლს ნერვიულად ისრესდა.

— ისევ უშაქრო გიყვარს, ხომ? — თქვა ისევ ქალმა.

— ხო, უშაქრო, — ძლივს წარმოთქვა კაცმა.

ქალმა, კაცს ფინჯანი ხელთ მიუჩოჩა. მერე თვითონაც დაჯდა. ნიკაპქვეშ ხელები ამოიწყობდა...

ცოტა მოგვანებით კაცი ფიქრობდა, რომ ცისფერი სვიტრით, რომელიც ასე უხდება ლელას, ვერ გააქრობდა თვალთა უბეებს შორის გაჩენილ წაგრძელებულ ნაოჭებს.




— მაგ სურვილს სიამოვნებით შევისრულებდით, რომ ერთი რამ არ მელობებოდეს წინ, — მიუგო იმპერატორმა, — აბა დაფიქრდით, რას იტყვიან ჩემი ჯარისკაცები, როცა ერთად დაინახავენ ორ ნაპოლეონს, რომლებსაც მხოლოდ ერთი თავი აბა!



იტალიაში ამას წინათ მოულოდნელად დაიწყეს გავრცელება ამერიკის ტროპიკების მკვიდრმა წვირილმა ქიანჭველებმა, რომლებიც დაუნდობლად ავლებდნენ მუსრს გზად შეხვედრილ ადგილობრივ დიდ ქიანჭველებს.


როგორ მოხვდნენ იტალიაში ოკეანის გადაღმა მცხოვრები ქიანჭველები? როგორ ახერხებდნენ ისინი გამარჯვებულნი გამოსულიყვნენ ადგილობრივ დიდ ქიანჭველებთან ბრძოლაში?

გამოირკვა, რომ ეს ქიანჭველები გენუაში შემოვიდნენ სამხრეთ ამერიკის ნავსადგურებიდან იტალიაში მომავალი გემების მეხობებით. როგორც პროფესორმა მარიო პავანომ დაადგინა, ემიგრანტ ქიანჭველებს აქვთ მომავლინებელი შხამი, რომელსაც საჭიროების დროს პირიდან აფრქვევენ და მუსრს ავლებენ სხვადასხვა მწერებსა და მათ შორის დიდ ქიანჭველებსაც.



ავსტრიაში არსებობს კანონი, რომლის მიხედვით, მოსამართლეს საქმის გარჩევისა და განაჩენის გამოცხადების დროს მხარეზე წამოსხმული უნდა ჰქონდეს ყარყუმის სარჩულიანი წითელი მანტია.


ერთხელ, რომელიღაც ბრალდებულმა, რომელიც ხელობით ჭონი იყო, შეამჩნია, რომ მოსამართლეს ყარყუმის ნაცვლად კურდღლის ტყავის სარჩულიანი მანტია ჰქონდა წამოსხმული. ბრალდებულმა განაჩენი გააპროტესტა. სასამართლომ პროტესტი დასაბუთებულად ცნო და განაჩენი გააუქმა.



რამდენი წლისაა ღვინო? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა წინათ მხოლოდ ღვინის სპეციალისტებს შეეძლოთ; თუმცადა მათი პასუხი ყოველთვის როდი იყო ზუსტი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ დაამზადეს სპეციალური ხელსაწყო, რომელსაც შეუძლია შეუცდომლად განსაზღვროს ღვინის, არყის, კონიაკისა და რომის ხნოვანება. ამ ხელსაწყოს ძირითადად საბაჟოს მოხელეები იყენებენ (ამერიკაში არსებული კანონის მიხედვით, რაც უფრო ძველია ღვინო, მით უფრო მეტი ბაჟი გადახდება მის გადატანს).

ღვინის ხელსაწყოს მოწყობილობასა და მისი მოქმედების პრინციპს ფირმა ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს.




პარიზელი ვაჭარი პიერ ლატუში ძალიან ჰგავდა ნაპოლეონს. როცა იმპერატორმა ეს ამბავი გაიგო, ლატუში სასახლეში დაიბარა, თავისი მუნდირი ჩაცვა და დედოფლის მისაღებ ოთახში შეგზავნა.

დედოფალმა ვაჭარი ჯერ ნაპოლეონად მიიღო, მაგრამ საუბარში, როცა ლატუშიმა უხეში მანერები და გაუგონარი გონებაშეზღუდულობა გამოამჟღავნა, დედოფალი მიხვდა, რომ მის წინ იმპერატორის ორეული იდგა.


ნაპოლეონს ძალიან მოეწონა ეს ხუმრობა. მან შესთავაზა ვაჭარს, გამოეთქვა რაიმე სურვილი, რომელიც დაუყოვნებლივ იქნებოდა შესრულებული.

— ლეიტენანტობა მიბოძეთ, — წამოძახა გახარებულმა ვაჭარმა, — მე ძალიან მიხდება სამხედრო მუნდირი და, ამასთან ერთად, სიამოვნებას მგვრის ბრძანებების გაცემა.



ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს მომსახურებას უწყევდა 1.800 შურნალისტი სხვადასხვა ქვეყნებიდან. ამ შურნალისტთა შორის მარტო ერთი ქალი იყო. ამის გამო, გასაგებია, რომ ამ შურნალისტის აზრი გაცილებით მეტ ინტერესს იწვევდა. გულშემატკივრებმა შურნალისტ ქალს მისცეს, ასე ვთქვათ, შესაფერი კითხვა — ვინ არის თქვენი აზრით ყველაზე ღამაში ფეხბურთელი და ვინ მიგაჩნიათ მათ შორის ყველაზე უფრო ინტელიგენტურ ადამიანად?

— ეისებო და ვორონინი, მათი თამაშის ცქერა — ყველაზე უფრო სასიამოვნოა, — უპასუხა შურნალისტმა ქალმა.



„თუ მგელს ოდნავ უკბენთ ცხვირ-პირზე, იგი მორჩილი და თქვენდამი კეთილმეგობრულად განწყობილი გახდება!“ — ასეთი უცნაური თეზისით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ბიოლოგთა კონგრესზე ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი გინზბურგი.

პროფესორს შინ ხუთი მგელი ჰყავს. ხანგრძლივმა დაკვირვებამ გინზბურგი დაარწმუნა, რომ მგლები, როცა სურთ ერთმანეთს მეგობრულად მიესალმონ, ოდნავ კბენენ ხოლმე ყბებზე.

პროფესორმა საინტერესო ცდა ჩატარა: იგი ოთხზე დადგა, პირი დაალო და ოდნავ უკბინა ხუთივე მგელს. მგლები მაშინვე გამოეხმაურნენ პროფესორის ასეთ მოქმედებას. ისინი მჭიდროდ მიეკრნენ ადამიანს და „მეგობრული შეტების“ საპასუხოდ ოდნავ შეახეს კბილები მის სახეს.

„მისაღმების“ შემდეგ მგლები უფრო მორჩილნი და თვინიერი გახდნენ. პრესა იუწყებდა, რომ მგლებთან მეგობრობა დაამყარა პროფესორის ცხრა წლის გოგონამ. ეს გოგონა ახლა უშიშრად ეთამაშება მგლებს, რომლებიც მასთან ერთად გორაობენ იატაკზე და არასოდეს არ კბენენ მაგრად თავიანთ პატარა მეგობარს.

საქსაშენი საქსაშენი საქსაშენი

გარეკანის პირველ გვერდზე: ცენტრალური მუსიკალური სკოლის წარჩინებული მოსწავლე ნინო ჭირაქაძე. ფოტო ე. პესოვისა. მეორე გვერდზე: საოქტომბრო პლაკატი, თ. სამსონაძისა, მეოთხე გვერდზე: ჩაის საკრები მანქანა „საქართველო“, ფოტო ნორა ანთიძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. | სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. ღურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ.მ.გ. მდივანი თ. გოგოლაძე. | ი. ტაბაღაძე, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოღია. ტექნორედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ.მ.გ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/XI-66 წ. გამოცე. № 142, ქაღ. ზომა 70x108/8, 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 30.000. შეკვ. № 3648, უე 03325

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

WQ
AMES



ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა

